სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ხუთშაბათი, 7 ნოემბერი 1918 წ.

# ერთობა

ფასი 50 კაპ.

გაზეთის ღირს: 1 თვით 12 მანეთი ცალკე ნომერი ყველგან 50 კაპ. განცხადების ფასი, როგორც პირველ გვერდზე, ისე მეოთხეზე, პეტიტის სტრიქონი—1 მან. სამგლოვიარო განცხადება 20 მან. საჩქარო განცხადება უნდა მოტანილ იქნას არა უგვიანეს დილის 12 ს. ხელმოუწერელი წერილები არ იბეჭდება. დაუბეჭდავ საგაზეთო მასალას რედაქცია არ ინახავს, ავტორებს უკან ვერ დაუბრუნებს და ამის შესახებ არც მიწერ-მოწერას კისრულობს.

ქალაქის მოწერილობა ... გამოიწერება: Тифлисъ, ... пр. 199. Редакція „Эртоба" ... გამოეგზავნოს ... რედაქციაში პირადათ მოლაპარაკება შეიძლება 10—12 საათამდე. რედაქციისა და კანტორის ადრესი: თბილისი, გოლოვინის პროსპექტი № 12. Тифлисъ, Головинскій проспектъ № 12).

ტელეფონი 16—62.

№ 240 ორგანო ამიერ-კავკასიის სოციალ-დემოკრატიულ მუშათა ორგანიზაციების № 240

ღრმათ დამწუხრებულნი გერასიმე ქიქოძე, ანეტა და შალვა, აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ნოემბრის 5 ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა პირველის მეუღლე და დანარჩენთა ძვირფასი დედა

მ ა ტ რ ო ნ ა.

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე, პარასკევს, 8 ნოემბერს. გამოსვენება დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან, პეტრე-დიდის ქუჩა, № 24. 2—1

უზომოთ დამწუხრებულნი ძმები: დიმიტრი და სიმონ, რძალი ივდითი, შვილები ევგენი და აგნესა კალანდარიშვილები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობ მეგობრებს, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი

მატრონა ქიქოძისა

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმინდა ნინოს სასაფლაოზე, პარასკევს, ნოემბრის 8 ს. გამოსვენება დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან, პეტრე დიდის ქუჩა, № 24. 2—1

უზომოთ დამწუხრებულნი დები თეო, ნინუცა და ნადია, სიძეები: ირაკლი რამიშვილი და ივანე ავსაჯანოვი, დისწულები: გერმანე მგალობლიშვილი, ბიძინა, ხვარამზე და დარეჯან რამიშვილები და რაია რაევიჩი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ ხანგრძლივი და მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა ძვირფასი

მატრონა ქიქოძისა

პანაშვიდი საღამოს 7 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმინდა-ნინოს სასაფლაოზე პარასკევს, ნოემბრის 8 ს. გამოსვენება დილის 10 საათზე საკუთარ ბინიდან, პეტრე დიდის ქუჩა, № 24 2—1

საშუალო კულტურულ ტეხნიკურ სასწავლებლის მასწავლებლები და მოწაფეები ულრმესი მწუხარებით აუწყებენ მეგობრებს და ამხანაგებს, რომ 31 ოქტომბერს გარდაიცვალა მოსწავლე და ამხანაგი პირველი სპეციალური კლასის მოწაფე

ნიკოლოზ (ნიკა) ლეგანიძე,

რომლის დასაფლავება მოხდება 7 ნოემბერს, დღის 12 საათზე.

ღრმათ დამწუხრებული მამა გიორგი ზურაბის ძე, დედა ალთი გიორგის ასული, შვილები: იასონ, ნოე, ნადია, მარგალიტა და ზურაბ ლეგანიძენი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ ძვირფასი შვილის

ნიკიფორე გიორგის ძე ლეგანიძის

უდროოდ გარდაცვალებას. მიცვალებულს თავის ბინიდან გაასვენებენ ნაძალადევის ეკლესიაში და იქიდან ადგილობრივ სასაფლაოზე ხუთშაბათს, 7 ნოემბერს, დილის 10 საათზე (ჩერქეზიშვილის ქუჩა, № 185).

დამწუხრებული ასული თაფულო წულაძისა, ბადიშები: ბიძინა, ნინა (კეკე), გიგი და კაცურა წულაძენი, სიძე აპ. წულაძე, აცნობებენ მეგობრებსა და ნათესავებს, რომ ხანგრძლივი ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მათი საყვარელი

პანტელეიმონ სიმონის ძე კალანდაძე.

დასაფლავება დღეს, ხიდისთავის წმ. გიორგის სასაფლაოზე. (1—1)

ერასტი ივანეს ძე ჭეჭენიძე, შვილებითურთ, მიხეილ და კონსტანტინე (კოკი) და ელისაბედ იოსების ასული კოპაძისა გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ, რომ ხანმოკლე ავათმყოფობის შემდეგ უდროვოდ გარდაიცვალა ძვირფასი და დაუვიწყარი პირველის მეუღლე, მეორეთის დედა და მესამეს შვილი

ნინო გრიგოლის ასული ჭავჭანიძისა.

პანაშვიდები ყოველ დღე საღამოს 6 ნახევარ საათზე. გამოსვენება დღეს, 7 ნოემბერს დილის 10 საათ. საკუთარის სახლიდან მიხეილის ქ № 36. ქვაშვეთის წმ. გიორ. ეკლესიაში. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე.

ღრმად დამწუხრებულნი მშობლები: ივანე და მაგდანი მიხეილის ასული მერებაშვილი შვილებით: დიანოზი, მიხეილი, ლადო, სოსო, ვახტანგი და თამროთი, შვილი შვილებით და რძლებით, აუწყებენ ნათესავთ, ამხანაგთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი შვილის

ელისო მერებაშვილის

უდროოდ დაკარგვას. დაკრძალვა 7 ნოემბერს ს. ანაგაში წმ. ნინოს ეკლესიის გალავანში.

მამა იაგორ (გრიგორი) ომანის ძე დედა ეპრაქსი ბესარიონის ასული, ბიძა და ბიცოლა, გიორგი და ანეტა კობალაძეები, ბაბუა ბესარიონ, ბებია ივლიტე, დეიდები—პელაგია და მარგალიტა შენგელიები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს ძვირფასი შვილის

დ ა რ ე ჯ ა ნ ი ს

გარდაცვალებას, დასაფლავება მოხდება ხუთშაბათს 7 ნოემბერს. გამოსვენება დილის 10 საათზე, იერიევის ქუჩა № 21.

გულ-დამწვარნი მშობლები: მოსე და მარინე, ძმები სოლომონ და ილიკო, ბიძა კოსტანტინე, ბიძაშვილები: ალექსანდრე, ლადიკო, ვანო, გრიშა, ოლიე და ლიზა, ბიცოლები: გინატრი, ევდოკია და ოლინკა ბოლქვაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ახალგაზდა

ლავრენტი მოსეს ძე ბოლქვაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავებაც მოხდა 5 ნოემბერს.

გულ დამწვარი მშობლები: ალექსანდრე და ევდოკიე, ბიძები: კოსტანტინე და მოსე, ბიძაშვილები: სოლომონ, ლადიკო, ილიკო, ვანო, გრიშა, ოლიე და ლიზა, ბებიე გინატრი, ბიცოლა: მარინე და ოლინკა ბოლქვაძეები გულითადი მწუხარებით აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ მათი ძვირფასი და დაუვიწყარი ახალგაზდა

თამარა ალექსანდრეს ასული ბოლქვაძის

უდროოდ გარდაცვალებას, რომლის დასაფლავება მოხდა 5 ნოემბერს.

ღრმათ დამწუხრებული მეუღლე გაიანე აუწყებს ნაცნობს და ნათესავს, რომ ორშაბათს, 4 გიორგობისთვეს, ოთხი დღის ავათმყოფობის შემდეგ გარდაიცვალა მისი საყვარელი მეუღლე

თომა ლოთვაძე.

დასაფლავება მოხდება დღეს, მიასვენებენ ნაძალადევის ეკლესიაში.

ზუბალაშვილის სახელობის სახალხო სახლი

ხუთშაბათს, 7 ნოემბერს, საღამოს 8 საათზე,

რუსეთიდან ახლად დაბრუნებული

სტანისლავ ვოლსკი

წაიკითხავს ლექციას შემდეგ თემაზე:

„განწირულთა მხარეში"

ბოლშევიკები მთავრობაში. მათი გადახრა ანარქიიდან სახელმწიფოებრივ კაპიტალიზმისაკენ. შემოქმედებითი ცდა: წარმოების ცენტრალიზაცია, „რკინის დისციპლინა" ქარხნებში და ჯარში. პროლეტარიატის სრულ ხელმწიფებიდან, ექსპერტის სრულ ხელმწიფებამდე. „ადგილობრივი მთავრობათა" ოპოზიცია. ბრძოლა ცენტრისა და „ადგილობრივ მთავრობათა" შორის. ტერორის პოლიტიკა და მისი სოციალური საფუძველი. მუშათა ოპოზიცია და სახელმწიფოებრივი გადატრიალების ცდა. შექმნა „ნაციონალური ცენტრისა". ვინ განაგებს ნამდვილად რუსეთს. სურათები მომაკვდავ ქალაქის ცხოვრებიდან.

ბილეთები იყიდება სახალხო სახლის კასაში დილის 12—2 საათ. და საღამოს 6—10 საათ.

## ბოლშევიზმის წლის თავი

დღეს წელიწადი შესრულდა მას შემდეგ, რაც რუსეთში ბოლშევიზმი მოექცა სახელმწიფო წყობილების სათავეში.

საბჭოთა მთავრობა—დღეს დიდის ამბით იდღესასწაულებს თავის სოციალურ გადატრიალების დღეს, რომელიც ახალ ხანის დასაწყისათ გამოაცხადეს. ევროპის წიაღში წარმოშობილი რევოლიუციური მოძრაობა ქმნის კიდეც საერთო ფონს ასეთ დღესასწაულისთვის. რუსეთის რევოლიუცია გადაედვა ევროპას. ნამდვილათ კი ომმა სუსტი და ჩამორჩენილი სახელმწიფოების დანგრევით დაიწყო და თანდათან სამოქალაქო ცეცხლის ალში ხვევს ევროპას.

აქ ხორციელდება არა ბოლშევიკების უზომო ტრაბახი, რომელიც ჭინჭრაქის ტრაბახს ჰგავს, არამედ ის ღრმა სოციალური დაკვირვება და მარქსისტული პროგნოზით, რომელიც დიდი ხნით ადრე ომამდე არა ერთხელ გამოუთქვამს მარქსიზმის მამამთავარს კ. კაუცკის:

ბალკანეთმა გააჩაღა მსოფლიო ომის კოცონი. მსოფლიო ომს თან მოსდევს მსოფლიო რევოლიუციური მოძრაობა, რომელმაც უნდა ევროპის ცხოვრება ძირიანათ გარდაქმნას და სოციალური წყობილების დამყარებას გაუწმინდოს ნიადაგი.

ბოლშევიზმმა ამ მხრივ, უნდა ითქვას გულახდილად, მხოლოდ უარყოფითი შედეგი მოიტანა. ჩვენ გვახსოვს, როგორი აღფრთოვანებით შეეგება ევროპის მუშათა კლასი რუსეთის რევოლიუციის პირველ ხანას და როგორ დაეცა იგი სულით, რაც ბოლშევიზმმა თავის ველური სახე და ფორმები გამოააშკარავა.

და ლენინის ტრაბახი ევროპისათვის ცეცხლის წაკიდებისა—ამიტომ ცარიელ ტრაბახათ რჩება.

და თუ რუსეთის შინაურ ცხოვრებას დავაკვირდებით ამ ერთი წლის განმავლობაში—ამაში უეჭველათ დავრწმუნდებით.

რა გააკეთა ბოლშევიზმმა? რა მაგალითი გვიჩვენა მან?

განა ამაზე საჭიროა კიდევ ლაპარაკი ჩვენს მკითხველთან? ვინ არ იცის გადამწვარი ქალაქები, დანგრეული ეკონომიური წარმოება, აოხრებული ქარხნები, დაობლებული მაღაროები, განადგურებული რკინის გზები და ყველა ამის დამატება—განუწყვეტელი სისხლის მორევები, იმ დაუსრულებელ ფრონტებზე, რომლებითაც მორწყულია მთელი რუსეთის თვალუწვდენელი ტერიტორია.

ამას დაუმატეთ გაშეფებული მასსიური ტერორი მარჯვნივ და მარცხნივ, ჟლეტა ხალხისა განუკითხავათ, გაუსამართლებლათ, ერთი ხელის დაქნევით, რბევა ყველასი და ყოველივესი, რისი დარბევაც კი შეიძლება—და თქვენ წინ წარმოსდგება სურათი „რევოლიუციურ" ბოლშევიზმის აზიური ბარბაროსობისა, მტარვალობისა და დამრღვევლობისა.

წითელს და რევოლიუციურს მხოლოდ იმიტომ უწოდებენ ბოლშევიკების ლიდერები თავის ყველა დაწესებულებებს, რომ შინაარსით იგინი შავნი არიან და არქი რეაქციონური... და ამიტომ მის ანტიპოდათ რუსეთში გამოდის რეაქციონური ბურჟუაზია, რომლის ერთი ნაწილი მის წიაღშია მოკალათებული. ზოგან საკუთარ ფეხზე დამდგარი თავიდან კი იშორებს მას, როგორც მხოლოდ დამრღვეველს და რეაქციონურ შემოქმედებისთვის გამოუსადეგარს.

რით აიხსნება მაშასადამე რუსეთში ამდენი ხნის ბატონობა ბოლშევიზმის? რომ ის გარიყა ისტორიამ?

ამის მიზეზი ბევრია. შინაურ მიზეზათ უნდა ჩავთვალოთ რუსეთის ბურჟუაზიის სისუსტე და მოუმწიფებლობა, რუსეთში უცხო კაპიტალის ბატონობით გამოწვეული, დემოკრატიის სისუსტე და მოუმზადებლობა თვითმპყრობელობის გამხრწნელი და დამაბნეველებელი პოლიტიკის წყალობით. შეგნებულ დემოკრატიას არ შესწევს ძალა ანარქიას და ბურჟუაზიას ერთობ გაუმკლავდეს. ბურჟუაზიას არ შეუძლია შეგნებული დემოკრატია და ანარქიული ელემენტები ერთიანათ დაიმორჩილოს. აქედან ორგანიზაციული შემოქმედება უძლდება და ქვეყანა ანარქიის მსხვერპლათ ხდება, ე. ი. ბოლშევიზმის სამეფო მყარდება.

ამ ანარქიის ძლიერებას მეორე მხრით ხელს უწყობს გარეშე ძალა. გერმანიის იმპერიალიზმი დღემდე იმსახურებდა და ეხმარებოდა ლენინის ბოლშევიზმს, ისე როგორც ინგლის საფრანგეთი მის მოწინაამდეგე ელემენტებს. ამ რიგათ, რუსეთის რევოლიუციის ბედს სწყვეტდნენ არა მარტო შინაური ძალთა ურთიერთობა, არამედ ევროპის მეომარ სახელმწიფოთა კოალიციები. და მათი გამარჯვება დამარცხების შედეგები რუსეთის ბედზედაც თავის ძლიერ გავლენას ჰპოულობდა. და ბოლშევიზმის არსებობის გახანგრძლივებაში გერმანიის იმპერიალიზმს დიდი როლი ეკუთვნის.

აი, ამით აიხსნება ის, რომ „სოციალისტური" რევოლიუცია ლენინისა, დღესაც ანგრევს და არღვევს რუსეთის სხეულს.

მაგრამ ამიერიდან საერთაშორისო მდგომარეობა ძირიანათ იცვლება. ევროპის რევოლიუციის ალი, ეჭვი არაა, გაამხნევებს და გააძლიერებს რუსეთის დემოკრატიას და იხსნის ქვეყანას სუსხიან რეაქციის გაბატონებისაგან.

## სამიწათმოქმ. რეფორმა

3.

ფასით უნდა მიეცეს გლეხს მიწა, თუ უფასოთ?

ბევრი თავგამოდებით იცავს იმ აზრს, რომ მიწა უფასოთ უნდა დაურიგდეს გლეხობას. მოჰყავთ ორი მთავარი საბუთი: პირველი ის, რომ ჩვენ თურმე სიტყვა მიგვიცია გლეხისთვის მიწის უფასოთ დარიგებაზე.

მართალია ეს, თუ არა?

ჩვენი დაპირება ჩვენს პარტიულ პროგრამაში გვიწერია, ამ პროგრამას დიდი ხანია ვავრცელებთ ხალხში. და განა მუნიციპალიზაცია, ე. ი. მიწის რაჯონით გაცემა გლეხზე—უსასყიდლობას გულისხმობს? ცხადია, არა, და ჩვენ მუდამ ხაზგასმით ვლაპარაკობდით და ვსწერდით მიწის უფასოთ ჩამორთმევაზე და არა უფასოთ დარიგებაზე.

მეორე საბუთად ის მოჰყავთ, რომ გლეხი უკმაყოფილებით შეხვდება მიწაზე ფასის დადებას და შეიძლება ამ ნიადაგზე უწესოებაც კი მოხდესო.

ეს მოსაზრება თავისთავად მეტათ სერიოზულია, მაგრამ ამ შემთხვევაში ის ვერ ჩაითვლება საფუძვლიანად. ჯერ ერთი ის, რომ საზოგადოებაში მუდამ მოიპოება უკმაყოფილო ელემენტები, რომელსაც საერთო სახელმწიფოებრივი ინტერესები არაფრად მიაჩნია: განა ცოტაა მოწინაამდეგე სამხედრო ბეგრის, გადასახადების გადახდის და ბევრ სხვა გვარ მოვალეობის ასრულების? ამ ნიადაგზე საკითხის გადატანა სახელმწიფოს არ შეუძლია. ჩვენ მხოლოდ ერთი რამეს უნდა მივაქციოთ ყურადღება: როცა ამა თუ იმ ზომის ცხოვრებაში გატარებას ვაპირებთ, უნდა ვაცოდეთ, ეს ზომა ხომ არ ეწინააღმდეგება მცხოვრებთა უმრავლესობის ინტერესებს და მათს შეხედულობას სამართლიანობასა და უფლებაზე.

თუ ასე შევხედავთ საქმეს, არა გვგონია, გლეხობამ ვერ გაიგოს და არ მიიღოს მთავრობის და პარლამენტის დადგენილება მიწაზე ფასის დაწესებისა.

ჩვენ ვიცით, რომ გლეხი კერძო საკუთრების მოტრფიალეა. ეს, რასაკვირველია, არ არის მისი, ასე ვთქვათ, სამარადისო თვისება: იყო დრო, როცა ის საზოგადო კუთვნილების მომხრე იყო. ბევრ ალაგას, სადაც, მაგალითად, მეჯოგეობას მისდევენ, საძოვრებით და სათიბებით დღესაც ერთად სარგებლობენ გლეხები. კერძო საკუთრების ტრფიალი კი გამოწვეულია წარმოების წესით, მისი განუვითარებლობით. გლეხი წვრილ წარმოებას ეწევა, როგორც საკუთარს, აგრეთვე იმ მიწაზე, რომელსაც ის დღემდის იჯარით იღებდა მემამულისაგან და სანაცვლოდ ფულს ან შემოსავლის ნაწილს აძლევდა მას.

ჩვენც არსად არ მიგვიცია ჩამორთმეული მიწა უფასოდ, ჩვენი მიმღები კომისიები ყველგან ხელწერილს ართმევს გლეხს, რომ ის მოვალეა მოსავლის ნაწილი სახელმწიფოს სასარგებლოთ გადაიხადოს. ჩვენმა მთავრობამ საგრძნობლათ შეუმცირა ეს გადასახადი, მაგრამ გადახდით მაინც დღესაც იხდის გლეხი. და მიწის სოფლურით მიცემით თუ რამ ცვლილება ხდება—ეს გამოიხატება მხოლოდ იმაში, რომ გლეხი ერთხელ და საბოლოვოთ გადაიხდის ერთგვარ თანხას და მესაკუთრე გახდება.

რატომ უნდა იყოს გლეხი ამის წინააღმდეგი? თუ ის კერძო საკუთრების მოტრფიალეა, მას უეჭველია, ყოველ წლობით იჯარის გადახდას ერთხელ გამოყიდვა უნდა ერჩიენოს, და ჩვენ ვფიქრობთ, რომ, პირიქით, მანამდის ვერ მოისვენებს გლეხი, სანამ ის არ დარწმუნდება, რომ მას ვერავინ წაართმევს მიწას. ასეთი გარანტია კი მაშინ ექნება მას, როცა მიწას საკუთრებათ მიიღებს.

როგორ, რა სახით შეიძლება მიწის მიცემა საკუთრებათ და უფასოთ? შეიძლება ჩუქება, გაბოძება, მაგრამ გლეხმა გამოცდილებით იცის, რომ ნაბოძები მას არ შერჩება. ამიტომ არის, რომ მიუხედავათ მთავრობის აკრძალვისა, ბევრი გლეხი ჩუმათ ყიდულობს მიწას.

არის სხვა მოსაზრებაც: პოლიტიკური და ფინანსიური.

შესაძლებელია დღევანდელი დემოკრატიული წყობილება შეიცვალოს, არა ხალხის სასარგებლოთ. ამ შემთხვევაში ახალ ბატონს საშუალება ექნება ჩამორთმეული მიწები უკან დაუბრუნოს მემამულეებს. მაგრამ თუ მიწა ნაყიდი აქვს გლეხს, მას ვერავინ ვერ წაართმევს. ასე იყო საფრანგეთში დიდი რევოლიუციის შემდეგ: ჩამორთმეული მიწები იქაც ფასით მისცეს გლეხებს და შემდგომ, თუმცა მეფობა ისევ იქნა აღდგენილი და თავად აზნაურობა დაბრუნდა, მიწების ჩამორთმევა მაინც ვერავინ გაუბედა გლეხებს.

ფინანსიურის მხრით კი მიწის გაყიდვას ის მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენი გალარიბებული სახელმწიფოს სალარო ფეხზე დავაყენოთ და თავი მოვუყაროთ ქაღალდის ფულს, რომელიც მრავლათ არის დაგროვილი მცხოვრებლების ხელში.

ჩვენ განზრახ ვხმარობთ ზემოთ სიტყვას გაყიდვა.

ამით ჩვენ იმის თქმა გვინდა, რომ არ ვეთანხმებით ზოგიერთების აზრს, რომელნიც მოითხოვენ: მიწა მიეცეს გლეხს უსასყიდლოთ, მხოლოდ ზოგიერთი ხარჯების ანაზღაურება დავაკისროთო. ეს მიუღებელია იმიტომ, რომ დემაგოგები სულ ერთია ისარგებლებენ ამით და გლეხი კიდევ უფრო უკმაყოფილო იქნება: ის იტყვის, თქვენ ფულს მახდევინებთ, მაგრამ არ გინდათ მომყიდოთო. აქ ის დაინახავს უმრავლო მახინჯიას.

შეიძლებოდა ბევრი სხვა მოსაზრების მოყვანა, მაგრამ ერთი რამ ცხადზე უცხადესია: თუ გლეხი ცდილობს კერძო საკუთრებათ მიიღოს მიწა, უნდა დარწმუნებულიც იყოს, რომ ეს საკუთრება მან უდავოთ შეიძინა. და ის დარწმუნდება მხოლოდ მაშინ, როცა ხელში ექნება ნაყიდობის სიგელი ან „კუპჩა".

მაგრამ გაყიდვაც არის და გაყიდვაც. შეიძლება გაიყიდოს მიწა ბაზრის ფასებში. ამ შემთხვევაში დესეტინის ფასი იქნებოდა ათი და ოცი ათასი მანეთი.

დემოკრატიული სახელმწიფო ამას ვერ იზამს. ჩვენ უნდა გავუადვილოთ უმიწაწყლო და მცირე მიწის მქონე მშრომელ გლეხობას მიწის შეძენა. ამიტომ უნდა დავაწესოთ შეღავათიანი დაკლებული ფასები. გლეხი გადაიხდის იმდენს, რამდენსაც ის გადაიხდიდა ლალის სახით ორი-სამი წლის განმავლობაში და სრულს განკარგულებაში კი მიიღებს მიწას. მყიდველებიც რამდენიმე კატეგორიათ უნდა დაიყოს: ვისაც ერთად გადახდა არ შეუძლია, მას ნება უნდა მიეცეს ნაწილ ნაწილათ გადაიხადოს მიწის ფასი.

ვიმეორებთ, ზემოთ ნაჩვენები ზომა არ იქნება მიუღებელი გლეხობისათვის, რადგან ის არ ეწინააღმდეგება გლეხობის ინტერესებს.

ამიტომ გადაჭრით უნდა ვთქვათ, რომ ჩამორთმეულ მიწებს ჩვენ ვყიდით დაკლებულ ფასებში.

## როგორ ესმით დაშნაკელებს „თვითგამორკვევა"

ჩვენი გაზეთის ერთ მახლობელ ნომერში ჩვენ დავამტკიცეთ, რომ „დაშნაკცუტიუნი პრინციპიალური მოწინააღმდეგეა ამიერ-კავკასიის სახელმწიფოთა შორის სადავო საკითხების კონფერენციისა და არბიტრაჟის საშუალებით მოგვარებისა. კონფერენციას და არბიტრაჟს, ამ „დამახინჯებულ და ვიწრო ბურჟუაზიულ აზროვნების" ნაყოფს „აშხატავორი" უპირდაპირებს სხვა გზას, უფრო „დემოკრატიულს და ინტერნაციონალურს": „ბორჩალოს საკითხიც და სხვა სადავო საკითხებიც... უნდა გადაწყდეს ერთის, ერთგვარ თვითგამორკვევის პრინციპის თანახმად,—სახელდობრ, სადავო რაიონების რეფერენდუმის და დამფუძნებელ კრების მოწვევის საშუალებით".

ამნაირივე აზრი გამოითქვა ამ დღეებში „კავკ. სლოვო"-ს ფურცლებზედაც: „ერის თვითგამორკვევის უფლება... აი, ის ერთად ერთი საშუალება, რომელიც გამოდგება საკითხის პატიოსნურათ და მიუდგომლათ გადასაწყვეტათ".

„ერის თვითგამორკვევა"—დაშნაკელებს მიაჩნიათ ამ შეუდრეკელ ციხესიმაგრეთ, რომელშიაც ისინი უზრუნველათ გრძნობენ თავს. მაგრამ როგორია დემოკრატიული პრინციპები, ეს პრინციპიც ძალიან უხეიროთ შეუთვისებიათ მათ და თავისებურათ, „დაშნაკურათ" გაუგიათ. მართალია, ყველა ცოტათ თუ ბევრათ დემოკრატიული პარტიები აღიარებენ „ერთა თვითგამორკვევის" პრინციპს, მაგრამ ამ პრინციპსაც უნდა ისეთი გამოყენება, რომ ეს თავის და თავათ დემოკრატიულ პრინციპს თავის წინააღმდეგობათ არ გადაიქცეს და ყოველ დემოკრატიზმის განადგურებას არ მოჰყვეს თან. სწორედ ეს მოხდა დაშნაკცუთიუნს: იმას, რასაც ისინი „ერთა თვითგამორკვევათ" ნათლავენ, ამ პრინციპთან საერთო არაა აქვს რა და მას კიდევაც ეწინააღმდეგება.

„ერთა თვითგამორკვევა", რომელიც მიღებულია ყველა დემოკრატიულ პარტიების მიერ, არის თვითგამორკვევა მთელი ერისა, და არა თვითგამორკვევა რომელიმე რაიონის ან კუთხის მცხოვრებთა, როგორც ეს გაუგიათ „აშხატავორს" და „კავკ. სლოვოს". თუ რამდენათ არ გავს ერთმანეთს ეს ორი ფორ-

მა „თვითგამორკვევისა“, ამას ზედმიწევნით დავრწმუნდებით, თუ განყენებული პრინციპების აღიარებიდან მათ პრაქტიკულ განხორციელებაზე გადავალთ.

რანაირად უნდა განხორციელდეს ეს პრინციპი „დაშნაკელებს“ სურვილი რომ აღვასრულოთ და ლორის რაიონის მცხოვრებთ ცალკე გამორკვევაზე დავთანხმდეთ?

პირველი საკითხი, რომელიც აქ იბადება, ასეთია: რომელ ერთეულს მიენიჭოს თვითგამორკვევის უფლება? ჩავთვალოთ ამ ერთეულად დიდი რაიონი, თუ პატარა? მთელი ბორჩალოს მაზრა, თუ მისი რომელიმე ნაწილი? და თუ ნაწილი, რა საზომით ვიხელმძღვანელოთ ამ შემთხვევაში? ეროვნულით, თუ ტერიტორიალურით? ცხადია, ტერიტორიალური პრინციპით თუ ვიხელმძღვანელეთ, „ერის თვითგამორკვევა“ აქ აღარ გამოვა, მაგრამ სცადეთ ნაციონალური პრინციპით ხელმძღვანელობა და დაინახავთ, რომ ეს შეუძლებელი გახდება ისე, რომ რომელიმე მოსახლე ერის ინტერესები არ დაირღვეს.

ბორჩალოს მაზრა მრავალ ეროვან მაზრაა: აქ ერთმანეთში არეულია ქართველი, სომეხი, მუსულმანი, რუსი, ბერძენი, გერმანელ-კოლონისტი. რაც უნდა მაკრატლით სჭრა ბორჩალოს მაზრის ეთნოგრაფიული კარტა, ისე ვერ გამოჭრი, რომ ერთ ნაჭერში სულ ქართველები მოექცნენ, მეორეში სულ სომხები და სხვა. თუ მოინდომებთ ნაციონალური თვითგამორკვევა ზედმიწევნით განახორციელოთ, თუ თქვენ მიზნათ იმას დაისახავთ, რომ ამ საქმეში სამართლიანობის მაქსიმუმს მიაღწიოთ, რომ „თვითგამორკვევა“ ისე გაატაროთ, რომ არც ერთი ერის ნაწილიც კი არ მოექცეს სხვა ერის ფარგალში,—თქვენ იძულებული გახდებით „თვითგამორკვევის“ ერთეულად აიღოთ სულ მცირე სოფელი. ამ შემთხვევაში სოფელიც კი არ გამოდგება „თვითგამორკვევის“ ერთეულად, რადგან ხშირად შეხვდებით იმისთანა სოფელს, სადაც ერთმანეთში არეულია ორი-სამი ერის წარმომადგენლები.

„დაშნაკცაკანებს“ და „კავ. სლოვო“-ს სურთ „თვითგამორკვევის“ ერთეულად ლორის რაიონი მივიჩნიოთ. რატომ? რა მოსაზრებით? თუ მათ სურთ ისეთი რაიონი გამოსჭრან ბორჩალოს მაზრიდან, რომ წმინდა სომხური მოსახლეობა გამოვიდეს, რატომ ლორის რაიონს არ მიუმატეს ბორჩალოს მაზრის, ჩრდილოეთის ისეთი ნაწილები, რომლებიც სომხებით არიან დასახლებულნი? „თვითგამორკვევის“ უფლება წართმეული სომხები ხომ სხვა ერთა რაიონებში მოჰყვებიან და მოკვეთილნი დარჩებიან ლორის სომეხ-მცხოვრებთ? მეორეს მხრით, ლორის რაიონში არის არა-სომხებით დასახლებული ადგილებიც. „დაშნაკელთა“ პატრიოტული ინტერნაციონალისტობა რომ ვიცით, დარწმუნებულნი ვართ, არ მოინდომებენ ამ არა-სომეხ მოსახლეთა დაჩაგვრას და მათაც მისცემენ „თვითგამორკვევის“ უფლებას. მაგრამ როგორ და რა გზით განახორციელებენ ისინი ამ სამართლიანობის გრძნობით ნაკარნახევ სურვილს? თუ „დაშნაკცაკანები“ ამის საშუალებას გამონახავენ, ეს ისეთი აღმოჩენა იქნება, რომ ნაციონალური საკითხი სამუდამოთ გადაჭრილი იქნება, ნაციონალური შუღლი მოისპობა და კაცობრიობა თავს იხსნის ერთ უშველებელ და გამოუვალ უბედურებიდან. ამცნონ ქვეყანას თავის აღმოჩენა და მაშინ ჩვენ იქნებ თბილისში გავატაროთ „თვითგამორკვევა“ სოლოლაკისა, თვითგამორკვევა შაითან ბაზრისა და მთელს ჩვენს რესპუბლიკას ისე მოვაწყობთ, რომ თუ, მაგ. ჩინეთიდან ერთი-ორი ჩინელია ჩვენს ქვეყანაში დასახლებული, იმათაც კი „თვითგამორკვევა“ მიენიჭებათ“.

და სანამ ეს საყოველთაო „თვითგამორკვევის“ საშუალება არ აღმოუჩენიათ „დაშნაკელებს“, ჩვენ ნება გვეძლევა მათი ყვირილი „ერთა თვითგამორკვევის“ შესახებ, მწარე დემაგოგიათ მივიჩნიოთ და თუ მათ ყური დავუგდეთ და მოვინდომეთ ამ პრინციპის განხორციელება იმ მხრით, როგორც ამას „დაშნაკელები“ მოითხოვენ, ეს მიგვიყვანს უდიდეს ანარქიამდის, როდესაც ყოველი სოფელი, ყოველი სოფლის უბანი, ყოველი ქალაქის კვარტალი „თვითგამორკვევას“ მოინდომებს და ამის გამო სახელმწიფოს არსებობა შეუძლებელი გახდება.

სახელმწიფოს უარყოფა—აი ერთად ერთი ლოღიკური დასკვნა, რომელიც უცილობლათ მოსდევს იმ სახის „თვითგამორკვევას“, რომელსაც „დაშნაკელნი“ მოითხოვენ და რომელსაც ისინი სთვლიან აუცილებელ პირობათ საქართველოს და სომხეთის რესპუბლიკების კეთილ მეზობლობისას.

„ერთა თვითგამორკვევა“, რომელიც დემოკრატიულმა აზრმა შეიმუშავა, სულ სხვა სახით უნდა განხორციელდეს და არა ისე, როგორც ეს „დაშნაკელებს“ მოუწადინებიათ. „თვითგამორკვევის“ უფლება ეძლევა მთელს ერს, და არა რომელიმე პატარა კუთხის მცხოვრებლებს; იმისთანა ეთნოგრაფიულად აჭრელებულ ქვეყანაში, როგორიც ჩვენი მხარეა, „თვითგამორკვევის“ შემდეგაც დარჩება ისეთი სადავო კუთხეები, რომლებსაც თავის ფარგალში მოუნდომებს შემოყვანას რამდენიმე მეზობელი სახელმწიფო. აი, სწორედ ამ შემთხვევების გადასაჭრელად არის საჭირო კონფერენცია და არბიტრაჟი, რომლის საშუალებითაც გამორკვეული იქნება, რომელ სახელმწიფოსთვის უფრო საჭიროა ესა თუ ის კუთხე, რომელ სახელმწიფოსთან უფროა გადაბმული გეოგრაფიულად, ეკონომიურათ და სხვა მხრით.

„დაშნაკელებს“ არ სწამთ არც კონფერენცია, არც არბიტრაჟი, თუ წინასწარ ეს პირობა არ იქნა შესრულებული. კითხვის ამნაირათ დაყენება ჩვენის აზრით, იმას ნიშნავს, რომ „დაშნაკელებს“ სურთ სომხის ერი შეურიგებლობის გზაზე დააყენონ ეს ისევ ის ნაცადი პოლიტიკაა, რომელსაც „დაშნაკცუთიუნი“ აწარმოებდა დიდიდან თავის მოქმედებისა ამიერ კავკასიის პოლიტიკურ სარბიელზე—პოლიტიკა სომეხ ერის განცალკევებისა, იზოლიაციისა,—საბედისწერო პოლიტიკა, რომელმაც მთელი ერი უფსკრულის პირს მიაყენა.

## პ რ ე ს ა

დაშნაკელების გაზეთი „ჰორიზონი“ თავისებურათ ხსნის სოციალდემოკრატიულ პარტიის ძლიერებას კავკასიაში. ამ ძლიერების ერთი მთავარი მიზეზი ყოფილა... ოსმალეთი. არ გჯერათ?

„მენშევიზმის ბატონობის საქმეში მცირე როლს არ თამაშობდა ოსმალეთიც, როგორც თითონ, ისე ამიერკავკასიის მუსულმანთა დახმარებით საფუძნობის განმტკიცებაში ცდილობდა ოსმალეთი საბოლოოთ ამოეწყვიტა თავისუფლების მოყვარული სომხის ხალხი. მან ეს განახორციელა კიდეც, მხოლოდ საზღვრების იქით. მერე ამ მიზნით საზღვარს აქეთაც გადმოვიდა. მაგრამ მის აქ მოსვლამდის, ორ „მტრულ“ ერს შორის—სომხების და თათრებს შორის „წონასწორობის“ დასამყარებლათ ოსმალეთისთვის საჭირო იყო შექმნა „მესამე“ მხარე, რომელიც აუცილებლად უნდა გაჩენილიყო და გაჩნდა კიდეც ქართველ ხალხის დიდ პოლიტიკურ მიმართულების სახით“.

ამნაირია დაშნაკელების „სოციოლოგია“. დასჭირდა ოსმალეთს სოციალ დემოკრატიის შექმნა, და შექმნა იგი. წავიდა აქედან ოსმალეთი, დასუსტდა იგი, და, რასაკვირველია, სოც.-დემოკრატიაც უნდა მოისპოს. ასეთი იმედი აქვთ დაშნაკელებ: მათი აზრით, სოც.-დემოკრატიის გავლენის დღეები ამიერკავკასიაში დათვლილია. მათი „პროგნოზიც“, როგორც ვხედავთ, ისეთივე ღირსებისაა, როგორც მათი „სოციოლოგია“.

* *
*

**გამოსათხოვარი სალამი საქართველოს.** ადგილობრივი გერმანული გაზეთი „კაუკაზიშე პოსტი“ შემდეგს სწერს:

„ის პატივისცემა, რომელიც ქართველ ხალხისაგან წილად ხვდა მიმავალ გერმანელ ჯარს, არის საუკეთესო მსჯავრი მათი საქართველოში ყოფა-ცხოვრებისა და მოქმედებისა, როგორც ამას ყველა მიმართულების ქართული პრესაც აღნიშნავს.

ყველა ეს ორგანოები უკომენტარიოთ აღნიშნავენ იმ ნამდვილ მეგობრობას რომელიც შეიკრა ერთ დროს გაჭირვებულ საქართველოსა და მის დამხსნელ გერმანიის შორის. სულ რამოდენიმე თვის განმავლობაში ორივე მხრის გულწრფელმა პირდაპირობამ მოამწიფა მათში რაინდული განწყობილება, რომელიც იმედია შემდეგშიაც დარჩება. რაც უნდა მოხდეს, ჭეშმარიტი მეგობარი გაჭირვებაში იცნობა!“

## საქართველოს პარლამენტი

**5 ნოემბრის სხდომა.**

თავმჯდომარეობს ნ. ჩხეიძე.

მდივანი კითხულობს მუსულმანთა წარმომადგენლის სალი ბაიდარ კარაევის განცხადებას, სადაც აღნიშნულია, რომ ის ანებებს თავს პარლამენტის წევრობას, რადგანაც არ იცის ქართული ენა და არ სურს ატყუილოს თავისი თავი და ის ხალხი, რომელმაც ის გამოგზავნა.

დღის წესრიგის შესახებ განათლების მინისტრი გ. ლასხიშვილი მოითხოვს, რომ მოიხსნას დღის წესრიგიდან: „კანონ-პროექტი სამღთო სჯულის სწავლების გაუქმებისა, ყველა ტიპის და საფეხურის სახელმწიფო და კერძო სკოლებში“, მთავრობა არაა პრინციპიალურად წინააღმდეგი ამ პროექტისა. მაგრამ რადგანაც მას ეს ზემოხსენებული კანონ-პროექტი არ განუხილავს და თავის დასკვნა არ გამოუტანია, ლასხიშვილი მოითხოვს, რომ ეს კანონი იქნას განხილული მომავალ უახლოეს კრებაზე, მანამდის კი მთავრობა მოასწრობს მის განხილვასო.

დღის წესრიგის შესახებ სიტყვას თხოულობს ა. ახმეტელი, რომელმაც განაცხადა, რომ მას თავის შეკითხვის განხილვის დროს იმედი ჰქონდა მთავრობა განაცხადებდა, რომ იგი მზათაა როგორც ომისთვის, ისე ზავისთვის, რომ თბილისის გუბერნია საქართველოს უდაო ტერიტორიაა, და რადგანაც ყველა ამ კითხვებზე დადებითი, გადაჭრითი პასუხი საქართველოს პარლამენტის საგანგებო კრებაზე მოვისმინეთ მთავრობისაგან და ამ კრებაზედვე დამტკიცდა, რომ ყველა პარტია ერთსულოვნათ მზათაა დაიცვას საქართველოს დამოუკიდებლობა, „მას ეს შეკითხვა ეხლა ზედმეტად მიაჩნია და უკან მიაქვს“.

რ. არსენიძე კითხულობს საბოლოო ტექსტს შავი ზღვის სანაპირო რკინის გზის დამთავრების კანონისას. პარლამენტმა მიიღო ყველა ის სარედაქციო შესწორებანი, რომელიც კომისიამ შეიტანა შიგ.

შ. ამირაჯიბი მოახსენებს პარლამენტს საბოლოო ტექსტს გარეშე საქმეთა სამინისტროს შტატების და ხარჯთ-აღრიცხვის კანონს.

**კანონ პროექტი სახელმწიფო ქაღალდების მბეჭდავ ექსპედიციის ხარჯთ-აღრიცხვისა.**

მომხ. დ. ონიაშვილი. ეს პროექტი შემუშავებულია საფინანსო და სამრეწველო სამინისტროების მიერ. აღნიშნული ხარჯების ჯამის სიდიდე 827,295 მ. გამოწვეულია იმ დიდი მუშაობით, რომელიც სწარმოებს საექსპედიციოში. საბეჭდავი მანქანა ინტენსიურად მუშაობს, რადგანაც ბონების ბეჭდვა ერთად ერთი წყაროა სახელმწიფოს შესანახავად. აქ საჭიროა სპეციალისტი მომუშავეები, რაც რასაკვირველია მეტს ხარჯს მოითხოვს, მუშების ჯამაგირი უდრის იმ ნორმას, რომელიც შემუშავებულია პროფესიონალურ საბჭოს მიერ. მხოლოდ სამხატვრო ნაწილის მოსამსახურეთ აქვთ დიდი ჯამაგირები, ეს აიხსნება იმით, რომ ამ დარგისთვის საჭირო არიან დახელოვნებული ვირტუოზები და, რასაკვირველია, ჯამაგირებიც მეტი უნდა ჰქონდეთ. მომხსენებელი კითხულობს კანონ-პროექტს მუხლობრივ, რომელიც პარლამენტის მიერ უკამათოდ იქნა მიღებული.

**კანონ პროექტი აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტ. შედგენისა.**

მომხსენებელი დ. ონიაშვილი. მიწათმოქმედების სამინისტრომ გადასწყვიტა შეადგინოს სტატისტიკა, რომელიც გაადვილებს აგრარულ რეფორმების ცხოვრებაში გატარებას, რომელსაც დიდი მუშაობა ესაჭიროება და სტატისტიკურ ცნობების შესწავლა გაადვილებს აგრარულ საკითხის გადაწყვეტას. ერთად-ერთი მასალა, რომელიც ჩვენ მოგვეპოვება, არის 1917 წლ. სამეურნეო სტატისტიკური აღწერა. ამ აღწერამ ვერ გამოიღო საჭირო ნაყოფი, მუშაობა არ იქნა დამთავრებული, მაგრამ ის, რაც იქნა გაკეთებული ყურადღებიანია და საჭიროა მისი დამუშავება. ეს აღარებული მასალა დაგროვილია საადგილმამულო განყოფილებაში, აგრეთვე ამ უწყებაში არის აგარებული სხვადასხვა დოკუმენტები, მიწათ-მფლობელობის საბუთები. ყველა ამ მასალას უნდა დამუშავება, დალაგება, შესწავლა. სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს, რომ იყოს ერთი ცენტრალური ორგანო სტატისტიკისა. ეს ყველასთვის ცხადია და ამიტომაც არის განზრახვა, რომ ეს დაწესებულება სამიწათმოქმედო სამინისტროსთან დროებით იარსებოს ცხრა-ათ თვეს და შემდეგ კი შეიძლება ჩაეყაროს საძირკველი ერთ მთლიან ცენტრალურ სტატისტიკურ ორგანოს, რომელიც შეაერთებს ყველა უწყებების სტატისტიკურ განყოფილებებს.

გ. ვეშაპელი გაკვირვებას გამოსთქვამს, რომ ეს კანონ-პროექტი ფინანსიურ კომისიაში გატარდა და არა სპეციალურ აგრარულ კომისიაში. ორატორი ამაში ბრალს სდებს მიწათ-მოქმედების სამინისტროს, რომელმაც მადნეულ წყლების სტატისტიკის კანონ-პროექტი აგრარულ კომისიაში გაატარა და მთელი პროექტი სტატისტიკის განყოფილების დაარსების კი არ წარუდგინა აგრარულ კომისიას. ორატორი აღნიშნავს, რომ ეს კანონ-პროექტი დაგვიანებულია, მიწის განაწილების და ჩამორთმევის ნორმა დამტკიცდა უკვეო. ორატორი აღნიშნავს, რომ მიწათ-მოქმედების სამინისტროში უცხოელთ უჭირავთ ადგილები. კითხულობს სიას იმ არა ქართველ მოსამსახურეთა, რომლებიც სამინისტროში მუშაობენ. ასეთ სამინისტროს არ შეუძლიან დამზადოს არავითარი სტატისტიკური ცნობები, თუნდაც ბევრი ფული დაიხარჯოსო.

ვ. გელეიშვილი. (მიწ. მოქ. მ. ნ. ამხ.) ბატ. ვეშაპელმა საკითხი სხვა სფეროში გადაიტანა. ამ კანონ-პროექტს დაუკავშირა უწყების ნაციონალიზაციის გატარება. ჩვენი სამინისტრო არ შეადგენს გამონაკლისს სხვა უწყებებიდან. ჩვენც იმ აზრისა ვართ, რომ საჭიროა საქმის წარმოება სახელმწიფო ენაზე ხდებოდეს, მაგრამ ამის გამო ჩვენ მოუმზადებელ ქართველთ, მხოლოდ მიტომ რომ იგი ქართველია, ვერ მივიღებთ და სათანადოთ მომზადებულ უცხო პირთ ვერ დავითხოვთ. თუ საქმის ინტერესი მოითხოვს, ნაციონალიზაციის გატარებას სახელმწიფოებრივი ინტერესები მოითხოვს მცოდნე პირთა დატოვებას სამსახურში, რაც შეეხება იმ პირთ, რომელიც აქ ვეშაპელმა დაასახელა, უნდა ვსთქვა, რომ გერშენზონი ეს გამოცდილი ბუღალტერია უმაღლეს სწავლა დამთავრებული და კომერციულ ცოდნით აღჭურვილი. დასახელებული ეგოროვი საუკეთესო მცოდნეა ღვინის საქმის, მოხუც მედვედევს აქვს ჩინებული შრომა და საუცხოვოდ შესწავლილი აქვს ჩვენი ცხოვრების ეკონომიური მდგომარეობა. მგონია, არც ერთი სამინისტრო საჭირო მცოდნე პირს არ დაითხოვდა თავის უწყებიდან. ჩვენი სამინისტრო უფრო მეტად გრძნობს მცოდნე პირთა საჭიროებას. ჩვენ ამ სტატისტიკურ მუშაობისთვის თავს მოვუყრით მოსწავლე ახალგაზრდობას, მხოლოდ ხელმძღვანელთა როლს მათ ვერ დავაკისრებთ. ჩვენ ბევრი მოხელე დავითხოვეთ და თანდათანობით ქართველები მივიღეთ და ზოგიერთნი დავტოვეთ არა იმიტომ, რომ რუსები იყვნენ, არამედ—როგორც საქმის მცოდნენი.

თ. ღლონტი მხარს უჭერს სოც. ფედერალისტთა სახელით ამ კანონ პროექტს. აღნიშნავს მიწის საკითხის გატარების დიდ მნიშვნელობას, თუმცა ორატორის აზრით ამ კანონ პროექტის განხორციელებას დიდი დრო დასჭირდება. უსაყვედურებს მიწათმოქმედების სამინისტროს, რომელიც ნაციონალიზაციას საჭირო ტემპით არ ატარებს ცხოვრებაში.

კ. ნინიძე. ბ. ვეშაპელს ბევრი შრომა გაუწევია, მოსამსახურეთა სტატისტიკური ცნობები შეუკრებნია, მხოლოდ ერთი რამ არის გაუგებარი ჩვენთვის. გვეგონა, რომ ვეშაპელი გულწრფელობას გამოიჩენდა და გულახდილათ განაცხადებდა მას, რასაც იგი გაზ. „კლდის“ ფურცლებზე სწერს. ეს გაზეთი ამ ბოლო დროს ხაზგასმით აღნიშნავს მიწის გამოყიდვის საჭიროებას და ასეთი გულწრფელობა აქაც უნდა გამოეჩინა. ვეშაპელი ამბობს, რომ მიწები დარიგდა და რაღა საჭიროა კანონ-პროექტიო. მგონია, უნდა იცოდეს ვეშაპელმა, რომ მიწის საკითხის გადაჭრა დარიგებით არ განისაზღვრება. ჩვენ გვგონია, უკეთესი იქნებოდა ერთ მთლიან სტატისტიკურ განყოფილების დაარსება, მაგრამ რადგანაც ჯერ ჯერობით ეს არ გვაქვს, ჩვენი ფრაქცია მხარს უჭერს ამ კანონ პროექტს. ბ. ვეშაპელმა ბრძანა, რომ აგრარულ კომისიას ეს კანონ-პროექტი არ განუხილავსო. ვეშაპელი არ არის წევრი აგრარულ კომისიისა და შეიძლება არც იცოდეს, რომ აგრარულმა კომისიამ ეს პროექტი მოიწონა: ის არც კი დაინტერესებულა და არ უკითხნია და თუ აქ გამოვიდა, მხოლოდ იმ სურვილით, რომ ერთხელ კიდევ შეძლება მისცემოდა სახელი გაეტეხნა ჩვენ მთავრობისთვის.

მაჩაბელი. აღნიშნავს, რომ ბევრი ყურადსაღები ცნობები მოიპოვება საადგილ-მამულო უწყებაში. უსაყვედურებს მიწათ-მოქმედების სამინისტროს ნაციონალიზაციას არ ატარებთ ცხოვრებაში. მიწის საკითხის შესახებ აღნიშნავს, რომ თუ არ უნდა მთავრობას არეულ-დარევა გამოიწვიოს, არ უნდა შეუდგეს არავითარ მიწის დარიგებას, რადგანაც აღმოსავლეთ საქართველოში გლეხებს ნორმაზე მეტი მიწა აქვთ და არ დასთანხმდებიან მიწის ჩამორთმევას. ორატორს საჭიროთ მიაჩნია ქართველები დასახლდნენ მეტ მიწებზე და ამით ხელი შეუწყოს ქართველ მოსახლეთა გამრავლებას.

ვ. გელეიშვილი უპასუხებს ორატორებს და აღნიშნავს ამ კანონ პროექტის მნიშვნელობას, რომელიც ხელს შეუწყობს აგრარულ რეფორმის ცხოვრებაში გატარებას. რაც შეეხება ცენტრალურ სტატისტიკურ ორგანოს დაარსებას, ამ პროექტის შემუშავება მთავრობას განზრახული აქვს და ამ ორ თვეში ეს კითხვა გადაწყდებაო.

ვ. დოლუხანოვი (რუსულად). იძახიან, რომ ჩვენ ბევრი მტერი გვყავსო. უნდა აღვნიშნო, რომ ყველაზე საშინელი მტერი ეს აჩქარებული ნაციონალიზაცია არის. მიუტევებელი ცოდვაა მცოდნე პირთა დათხოვნა სამსახურიდან მხოლოდ იმიტომ, რომ არა-ქართველები არიან. ამავე სახელმწიფოებრივ აზრს ადგა მიწათმოქმედების სამინისტრო. აქ ვეშაპელმა დაასახელა მოსამსახურეთა სიაში რამდენიმე სომხის გვარიც. ნუ თუ მას შეუძლებლად მიაჩნია რამდენიმე სომეხი მსახურებდნენ ამ უწყებაში.

შემდეგ შესდის წინადადება კამათი შეწყდეს. ამ წინადადებას იცავს ალ. ლომთათიძე, რომელიც აღნიშნავს, რომ ისინი ვინც წინააღმდეგ იყვნენ კანონ-პროექტის, ილაპარაკეს საკმაოთ, რაც შეეხება აგრარულ საკითხს, ჩვენ საშუალება გვქონდა გამოვსთქვათ ჩვენი შეხედულება, როდესაც მიწის რეფორმის განხორციელების საკითხი დაისმებოდა.

ალ. ახათიანი წინააღმდეგია კამათის შეწყვეტისა, რადგანაც ეროვნულ დემოკრატებს ჰსურთ არსებითად შეეხონ ამ კანონსო.

კამათი შესწყდა. პარლამენტი გადადის პროექტის მუხლობრივ განხილვაზე. მიიღეს პირველი მუხლი, სადაც აღნიშნულია, რომ 391600 მან. გადაიდოს აგრარულ რეფორმასთან დაკავშირებულ სტატისტიკის შესამუშავებლად. ალ. ლომთათიძეს წინადადებით მიიღეს დაინიშნოს ხუთშაბათს სხდომა დღის 12 საათზე, სადაც განხილული იქნება დღის წესრიგში დარჩენილი კითხვები.

## მუშათა დეპუტატების საბჭოში

(გაგრძელება)

ლითონის კავშირის განყოფილების მუშა-დეპუტატი იზიარებს მოხსენების ყველა დებულებებს, და მხოლოდ აღნიშნავს, რომ საჭიროა მუშათა დეპუტატების საბჭო უფრო ხშირად იკრიბებოდეს, ვინემ ეს ხდებოდა დღემდე. ის აღნიშნავს აგრეთვე იმ ბოროტ მოქმედებას, რომელიც ხდება ზოგიერთ ადმინისტრაციის წარმომადგენლის მიერ. ეს ურჩევს მთავრობას მუშათა დეპუტატების საბჭოების საშუალებით დანიშნოს ადმინისტრაციის მოხელენი და მაშინ ბოროტ-მოქმედებას არ ექნება ადგილიო.

ბულგაკოვი (ს. რევ.) აღნიშნავს, რომ დასავლეთ ევროპაში დიდი სახელმწიფოებრივი ცვლილებები ხდება სახელმწიფოთა გადაჯგუფება ხდება და ფედერაციის საფუძველზე ეწყობა სახელმწიფოებრივი ცხოვრება. ამ გადაჯგუფებას საფუძვლად უდევს არა მარტო ნაციონალური იდეა, არამედ—პოლიტიკურ ინტერესთა ერთიანობა. შემდეგ ორატორი გადადის საქართველოს რესპუბლიკის ბედზე და ის სავსებით უერთდება იმ აზრს და დებულებებს, რომელიც ირ. წერეთელმა წამოაყენა და ამბობს, რომ ამიერ-კავკასიის ერთა უთანხმოებას და ამ უთანხმოების გაღრმავებას შეუძლია დიდი ზიანი მოუტანოს ამიერ-კავკასიის რესპუბლიკებს. თუმცა კულტურულად ამიერ-კავკასიის ერნი სხვადასხვა საფეხურზე დგანან, მაგრამ ისინი გადაჯაჭვულნი არიან ერთმანეთთან ეკონომიური ინტერესებით. ყოვლად შეუძლებელია ამიერ-კავკასიის რესპუბლიკათა წინსვლა განვითარება, თუ ისინი არ მოეწყვნენ ფედერატიულ ნიადაგზე. ორატორი შემდეგ ეხება რუსეთის მდგომარეობას და ამბობს: წერეთელმა მთელი რუსეთი გაყო ორ ნაწილად: კონტრ რევოლიუციონური და ბოლშევიკური. მას არაფერი უთქვამს რუსეთის იმ კუთხეზე, სადაც ჭეშმარიტი დემოკრატია სისხლიდან იცლება და ცდილობს დემოკრატიული რუსეთის სახელმწიფოებრივი ორგანიზმის აღდგენას. ჩვენ ვალდებული ვართ ამ დემოკრატიას მხარი დავუჭიროთ, ეს არის უფის დემოკრატია. როცა ს. რევოლიუციონერები მოგიწოდებთ რუსეთის ორიენტაციაზე—მხედველობაში გვაქვს ორიენტაცია უფის დემოკრატიულ რუსეთის ნაწილისა. თუ კი საქართველოს დემოკრატია რეფერენდუმით სურვილს გამოსთქვამს, რომ მას არ სურს ამ ორიენტაციის მიღება, მაშინ ჩვენ ამ სურვილის წინააღმდეგ არ წავალთ.

დ. ხართიშვილი აღნიშნავს, რომ ბნელი ძალები ირაზმებიან და ერთა შორის ცდილობენ შუღლის, მტრობის ჩამოგდებას. ამიერ-კავკასიის დემოკრატიას ერთმანეთთან გასაყოფი არაფერი აქვს, მხოლოდ ნაციონალისტები და შოვინისტები ცეცხლზე ნავთს ასხამენ. საჭიროა დემოკრატიამ ყოველი ღონე იხმაროს და დაიცვას რევოლიუციით მონაპოვარი ამ ბნელი კონტრ რევოლიუციონური ძალებისაგან:

თარხანოვი (ს. რ.) ამბობს, რომ წარსულის შესახებ ლაპარაკი საჭირო არ არის, ჩვენ ანგარიში უნდა გავუწიოთ მომავალს და შესაფერი პოლიტიკური გეზი ავიღოთ. აქ წერეთელი ამტკიცებდა, რომ გერმანიამ დიდი კულტურული საქმე გააკეთა—ოსმალეთისაგან დაგვიცვაო. რომ არ მოგეწვიათ თქვენ გერმანელები, ოსმალეთის შემდეგ მაინც მოვიდოდნენ. ორატორი აღნიშნავს, რომ ჩვენ ყოველთვის მომხრე ვიყავით ერთა თვითგამორკვევისა და სოლიდარობისა. ის კონფლიქტი, რომელიც სომეხ ქართველთა შორის მოხდა, გამოწვეულია სწორედ იმ პოლიტიკით, რომელსაც აწარმოებენ ამიერ-კავკასიის რესპუბლიკები—სეპარატიზმი (ხმ. მგელაძე ადგილიდან: საქართველომ ხომ ყოველი ღონე იხმარა კონფლიქტის მშვიდობიანი გზით მოსაგვარებლათ?) მართალია, საქართველოს მთავრობამ შესაფერი ზომები მიიღო და კიდევაც მშვიდობიანი გზით მოაგვარა ეს კონფლიქტი, მაგრამ საქმე ამით დამთავრებულად არ შეიძლება ჩაითვალოს, რადგანაც მთავარი გამომწვევი მიზეზები არ მოსპობილა. ეს სამი რესპუბლიკა მჭიდროთ დაკავშირებულია ერთმანეთთან და ფედერატიულად უნდა შეკავშირდეს. აქ ორატორი დიდხანს ლაპარაკობს [illegible] ბაზე. სხვა [illegible] და განსა[illegible] ბას უსვამს ხაზს. როგორც ბულგაკოვი, თარხანოვიც რუსეთის (უფის) ორიენტაციისაკენ მოუწოდებს კრებას. ორატორი ეხება აგრეთვე ალექსეევის რაზმს და ამბობს, რომ თუმცა კონტრ-რევოლიუციონურია, მაგრამ მაინც მათი მოძრაობა პროგრესიულიაო.

ჩემოდანოვი (ს. რ.) აღნიშნავს, რომ დღევანდელ საერთაშორისო მდგომარეობის დროს მთელს დემოკრატიას უნდა გამოენახა საერთო ენა, მაგრამ, სამწუხაროდ, ეს აქ არ მოხდა. უკანასკნელ ხანებში ნაციონალურმა შუღლმა იჩინა თავი და გაიმართა ბრძოლა. დღეს მოწინააღმდეგეთა სიტყვებიდან აშკარად სჩანს, რომ ისინი ურიგდებიან პრინციპიალურად საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკას, მათ დღეს აქ საჯაროთ აღიარეს, რომ საქართველოს დემოკრატიის პოლიტიკა სწორი და მიზანშეწონილი იყო, მე კი ვიტყოდი, რომ ამ დემოკრატიის მიერ არჩეული გზა არ იყო არც კარგი, არც ცუდი, არამედ ერთად-ერთი გამოსავალი გზა შექმნილ ობიექტიურ პირობებისაგან. ახლა კი საერთო პოლიტიკური კონიუქტურა შეიცვალა და ისევ დაიწყეს ლაპარაკი ორიენტაციებზე. მოწინააღმდეგენი საქართველოს დემოკრატიის ურჩევენ ფედერაციას. მაგრამ მე გეკითხებით მათ, შეუძლია თუ არა საქართველოს ფედერატიულად შეეკრას რეაქციონურ და სისხლით გასვრილ აზერბეიჯანს? (ტაში). ორატორი ეხება ამიერ-კავკასიის ერთა ინტერესების მთლიანობას, ერთიანობას და აღნიშნავს, რომ სანამ საერთაშორისო სამშვიდობო კონფერენცია მოხდებოდეს, მანამ ამ ერთა წარმომადგენლებმა უნდა წინასწარ მოლაპარაკება გამართონ, რომ იქ საერთო ენით დაიწყონ ლაპარაკი. აქ ამბობდნენ რუსეთის ორიენტაციაზე. მე ვამბობ, რომ თუ ჭეშმარიტი დემოკრატია ფეხზე წამოდგა, ის თავის ორიენტაციას საქართველოს თავზე არ მოახვევს როგორც ამას აქ ჩვენი მოწინააღმდეგენი შვრებიან (ტაში). დღეს, როცა ხალხთა ლიგა ოცნებობა არ არის, როცა ინტერნაციონალი ფეხზე დგება, საქართველოს დემოკრატიას უნდა ჰქონდეს მხოლოდ ერთი ორიენტაცია—ორიენტაცია საკუთარ თავისა და საერთაშორისო დემოკრატიისა (ტაში).

ეგნ. გეგეჭკორი კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს „ზნამენიის“—თარხანოვ-ბულგაკოვის დებულებებს და მათი პარტიის მოქმედებას. ორატორი მთელ რიგ საკითხებს უსვამს თარხანოვს და ს. რ. პარტიას. ის ამბობს: ეს პარტია მხარს უჭერს ფედერაციას, მაგრამ იცავს თუ არა ფედერატიულ პრინციპს ის, ვინც საქართველოს დემოკრატიის მოქმედებიდან გამოგლეჯს ცალკე ფაქტებს, ხელს ჩასჭიდებს შესაძლებელ შეცდომებს, მას ათასჯერ გაზრდის და საშინელ ნაციონალურ შუღლს ამეფებს და სწამლავს ატმოსფერას? იცავს თუ არა ფედერაციას, ვინც თავის ორგანოს ფურცლებზე მოუთხრობს მკითხველებს რომ სამხედრო მინისტრი საშინლად დევნის რუს აფიცრებს და ქუჩებზე მათ ხვრეტენ? (ხმები: საზიზღრობაა). იცავს თუ არა ფედერაციას ის, ვინც ალექსეევის რაზმის წარმოშობა-მოძრაობაში ხედავს პროგრესიულ მოვლენას? იცავს თუ არა ფედერაციას ის, ვინც განსაკუთრებულ მომენტში, როცა ორი მოძმე ერი მზათ არის იარაღით ხელში გადასჭრას სადავო საკითხი და გაიმართოს ძმათა შორის საშინელი სისხლისღვრა, ამ დროს ამბობს, რომ საქართველოს მთავრობა იარაღს აჩხარუნებს და გამსჭვალულია იმპერიალისტური მიზნებით? მსგავსი მოქმედება და გამოსვლები იმ დროს, როცა თითქოს დაგვავიწყდა ერთმანეთის გაგება, მოსალოდნელია მხოლოდ იმისაგან, ვინც მტერია ფედერაციისა და საერთოდ ერთა სოლიდარობისა. ჩვენ ვამტკიცებთ, რომ ამიერ-კავკასიის ერებს შეუძლიანთ არსებობა მხოლოდ ერთად და თუ ერთი ერი დაიღუპა, სხვებიც დაიღუპებიან. ყველა რევოლიუციონერის მოვალეობაა ამ შოვინიზმს სასტიკად შეებრძოლოს და არ გააღვივოს ის. რაც შეეხება ორიენტაციას, სოციალ-დემოკრატია არასოდეს არ ყოფილა ერთა შორის კავშირის წინააღმდეგი. მაგრამ რუსეთზე ორიენტაცია დღეს ყოველგვარ ნიადაგს მოკლებულია, რადგანაც იმ დემოკრატიულ რუსეთს, რომელზედაც აქ ლაპარაკობდნენ, არავითარი რეალური ძალა არ უმაგრებს ზურგს, დღეს კი რეალურად არსებობს ორი რუსეთი: ბოლშევიკური და ალექსეევის. ამიტომ, ჩვენ დაგვრჩენია დღეს მხოლოდ აღიარება საკუთარი ორიენტაციის, ორიენტაცია თავის დამოუკიდებლობისა.

კამათი მოისპო. უკანასკნელ სიტყვას ამბობს მომხსენებელი.

(დასასრული იქნება)

# დეპეშები

(საქართველოს დეპეშათა სააგენტო).

6 ნოემბერი.

დასავლეთის ფრონტი.

ბერლინი. სამხედრო ცნობა. შელდისა და უაზის შუა ინგლისელები და ფრანგები კვლავ განაგრძობენ შემოტევას. მტერმა, რომ გაერღვია ფრონტი, [illegible]0 კილომ. მანძილზე დიდ ძალი ჯავშნიანი ავტომობილები და არტილერია მოიხმარა. მძიმესა და შუალამემდის გა[illegible]ანურებულ ომის დროს ჩვენმა ჯარმა, მტრისაზე გაცილებით მცირემ, შესძლო მტრის შემოტევას წინააღსდგომოდა და ფრონტის გარღვევა შეეჩერებინა. გზატკეცილის სამხრეთით, ვალანსიენის ჩრდილოეთ-აღმოსავლეთით ჩვენი ხაზების წინ მტერი მოვიგერიეთ. სებურგ-ვარგნი-ლე-გრანდის ახალ ფრონტზე მტერმა შემოტევა დაიწყო, რაც აღმოსავლეთის მხარის სიმაღლეებზე ამ ადგილებიდან კონტრ იერიშით მოვიგერიეთ. ვარგნი-ლე პტი, რომელიც მტერს ხელში ჩაუვარდა, დავიბრუნეთ. ლე-კესნუას ორივე მხარეზე შემოსული მტერი ჩვენ შევაჩერეთ ვარგნი ლე-გრანდის სამხრეთით და ქოლიმეტცთან. ლე-კესნუა, რომელსაც ორივე მხრიდან საფრთხე ელოდა, განკარგულების თანახმათ დავცალეთ. მორმანის ტყისკენ იერიშით შემოსული მტერი ტყის დასავლეთ ნაწილში შევაჩერეთ. ტყის სამხრეთით ჩვენ ხაზების წინ მტერი შუადღემდე მოვიგერიეთ სამბრე-უაზის არხის დასავლეთით მდებარე მაღლობებზე. შუადღის შემდეგ მტერი იერიშებს განაგრძობდა განსაკუთრებით ტყის ჩრდილოეთით და სამხრეთით. ტყის ჩრდილოეთით მტერი შევაჩერეთ, ქოლი-მეტცის სამხრეთით და სამბრე-უაზის არხთან, ხელმოსის არხზე კატილიონის აღმოსავლეთით მტრის ყველა იერიში მოვიგერიეთ. კატილიონის სამხრეთით მტერი არხს აქეთ გადმოვიდა დაახლოვებით 2 კილ. და ლაგრუაზის გზატკეცილთან იგი შევაჩერეთ. არხის წინ ვესნისა და ეტრეს ჩრდილო აღმოსავლეთით მტრის იერიშები მოვიგერიეთ. ეტრესა და უაზის შუა ზოგან მტერმა შესძლო აღმოსავლეთის ნაპირზე გადმოსვლა, მაგრამ ჩვენს მოწინავე ხაზზე არ გადმოუშვით. უაზის სამხრეთით, საარტილერიო ცეცხლის შემდეგ, რომელიც დილამდე გაგრძელდა, მტერმა გიზ უ ლია-ხორის სამხრეთით და ბუალია პარნის წინააღმდეგ იერიშები მოიტანა, მოწინააღმდეგე ზოგან კონტრიერიშებით მოვიგერიეთ. ენის ფრონტზე აღსანიშნავი არა მომხდარა რა. ლე ბონს და სომოტს შუა მტრის დროგამოშვებითი იერიშემა უნაყოფოთ ჩაიარა. ბომონტის სამხრეთით მაღლობებზე ჩვენ ამერიკელების იერიშები მოვიგერიეთ. დიელეტოკის ტყეში ჩვენმა ჯარმა უკან დაიხია და განკარგულების თანახმათ სტენეს ჩრდილოეთით, მაასის აღმოსავლეთის მხრებზე გამაგრდა. დანის სამხრეთით მტრის რაზმი, რომელსაც უნდოდა მასზე გადმოსვლა, უკუ ვაგდეთ. მაასის აღმოსავლეთით მაღლობებზე მტრის მიერ მოტანილი იერიშები მოვიგერიეთ. მოზელის დასავლეთით ამერიკელები დროგამოშვებით უტევენ.

ბერლინი. საღამოს სამხედრო ცნობა. ბრძოლის ხაზზე შელდასა და უაზის შუა მტერს დავცილდით. ჩვენი უკან დახევა წესიერად სწარმოებს, დღეს აქ მხოლოდ მცირე შეტევებს ჰქონდა ადგილი.

პარიზი. 5 ნოემბ. სამხედრო ცნობა. საფრანგეთის ჯარის მთელ ფრონტზე სამბრეს არხიდან არგონებამდე მტერი მთელი დღე უკან დახევას განაგრძობდა, ზოგ ალაგას გერმანელებმა 10 კილომ. დაიხიეს უკან. წინა დღეს სამბრეს არხზე დაწყებულმა მკაცრმა ბრძოლამ დიდათ დააზარალა მტერი: საფრანგეთის მე 10 არმიამ გერმანელთა 36 დივიზია დაამარცხა, ტყვეთ წამოიყვანა 4000 გერმანელები და ხელთ იგდო 60 ზარბაზანი; ბრძოლის დასაწყისში მან დაიპყრო გიზი, მისი წინსვლა გრძელდებოდა და საღამოთი მიაღწია და აიღო ბარზი, ლუკეხერი, ლა-ვაკერესე, კრიუპილი, მალზი, რომერი, ვალქეფონტის აღმოსავლეთი ნაწილი, კლონფეი, სენ რიშრმონ, ხოსსე. ყველგან ვანთავისუფლებდით მრავალ დაპატიმრებულ მოქალაქეებს.

დიპლომატიური კავშირის შეწყვეტა.

ბერლინი. რუსეთის საბჭოთა მთავრობის მე 4 წარმომადგენლის შიკრიკის ბარგი შემთხვევით დაზიანდა ფრიდრიხშტადტის სადგურზე, საიდანაც გადმოცვივდა გერმანულ ენაზე დაბეჭდილი ფურცლები, რომელშიაც მოუწოდებდენ რევოლიუციონურ ბრძოლის გაჩაღებას, ტერორის და მკვლელობის გაძლიერებას. ამის გამო გერმანიის მთავრობამ მოსთხოვა რუსეთის მთავრობას, რომ მან მისცეს გარანტია შემდეგში აღარ განმეორდეს ამგვარი ამბები, არ იქნას გაწეული აგიტაცია საბჭოთა წარმომადგენლების მიერ გერმანიის სახელმწიფოს წესწყობილების წინააღმდეგ. ჯერ კიდევ გამოურკვეველია გერმანიის ელჩის მირბახის მკვლელობა. სანამდის რუსეთის მთავრობა არ დააკმაყოფილებს გერმანიის მთავრობის მოთხოვნილებას, უკანასკნელი იწვევს რუსეთიდან თავის ოფიციალურ წარმომადგენლებს და სთხოვს რუსეთის მთავრობას გაიწვიოს თავისი წარმომადგენელი გერმანიიდან.

ვიქტორ ადლერი—სტატს სეკრეტარი.

ვენა. საგარეო საქმეთა სტატს-სეკრეტარმა ვიქტორ ადლერმა ინახულა გერმანიის ელჩი ვენაში და აუწყა მას ძალაუფლების ჩაბარება ახალ მთავრობის მიერ.

მობილიზაცია უკრაინაში.

კიევი. მთავრობის დადგენილებით მობილიზაცია უკრაინაში გამოცხადდება 1 დეკემბერს. ნავარაუდევია, რომ მობილიზაცია უკრაინის მთავრობას მისცემს 169 ათას ჯარისკაცს.

# ომი და ზავი

დროებითი ზავი ავსტრიასთან.

ლიონი. 5 ნოემბერი. ავსტრიამ ხელი მოაწერა დროებითი ზავის მოკავშირეთა პირობებს. საომარი მოქმედება დღეს 15 საათზე შესწყდა.

დეპუტატთა პალატის სხდომაზე ოთხშაბათს კლემანსომ წაიკითხა მოკავშირეთა დროებითი შერიგების პირობები, რომელშიაც ავსტრიისგან მოითხოვენ ხმელეთზე, წყალზე და ჰაერში სამხედრო მოქმედების დაუყოვნებლივ შეწყვეტას, ავსტრია-უნგრეთის ჯარის სრულ დემობილიზაციას, ავსტრია-უნგრეთის მიწა წყალზე სანავსნო და რკინის გზებზე მოკავშირეთა ჯარის თავისუფლად გადაყვან გადმოყვანას და რამდენიმე სტრატეგიული პუნქტების დაჭერას მოკავშირეების მიერ.

15 დღის განმავლობაში გერმანიის ჯარების გაყვანას, დაუყოვნებლივ სამშობლოში დაბრუნებას ყველა სამხედრო ტყვეებისა, რომლებიც ავსტრია უნგრეთში იმყოფებიან, ფლოტის ნაწილის მოკავშირეთათვის გადაცემას, სახელდობრ—15 წყალქვეშა ნავის, სამი სამხედრო გემის, 3 კრეისერის, 6 მონიტორის, რომლებიც მდ. დუნაიზე იმყოფებიან და ყველა სხვა გემებისათვის იარაღის აყრას, რომლებიც მოკავშირეთა კონტროლს დაექვემდებარება. აგრეთვე ყველა აეროპლანების ერთ ალაგს თავის მოყრას, რომელიც ნაჩვენები იქნება მოკავშირეთა მიერ.

გერმანია და ავსტრია.

ვენა. სახელმწიფო საბჭომ თავის სხდომაზე დაადგინა: გერმანო ავსტრიას არ ჰყავს საკუთარი ლაშქარი. ჯარი, რომელიც შესდგება სლავიანო-მადიარებისგან არ არის საბრძოლველად განწყობილი. ამის გამო გერმანო-ავსტრიის ჯარს არ შეუძლიან აწარმოვოს ომი. მაგრამ თუ გერმანო-ავსტრიის ჯარს არ შეუძლიან აწარმოვოს ბრძოლა გერმანიასთან ერთად, ის მაინც (ავსტრია) არ სწყვეტს კავშირს გერმანიასთან და სურს საზავო მოლაპარაკება აწარმოვოს გერმანიასთან შეთანხმებით.

# ახალი ამბები

საქართველოს პარლამენტის საგანგებო სხდომა შესდგება დღეს, შუადღის 12 საათზე.

◆ ტუსაღების გაქცევა. 5 ნოემბერს პირველ ნომერ ციხიდან გაიქცენ შემდეგი ტუსაღები: შაქრო კურტანიძე, ვარდენ მარქაშვილი, ილია ცომაია, ლუკა წილოსანი, ვარლამ ახვლედიანი, სტეფანე ჩიხლაძე, ნიკ. ნიკოლაიშვილი, მიხეილ კრუპინი, გრიგოლ კასიძე, მიხეილ დგებუაძე, არმენ მღებროვი, კიტა მამალაშვილი და კონსტანტინე ნატროშვილი. როგორც გამოირკვა მათ გადაეხერხნათ ფანჯრის რკინები და ისე გადმოსულიყვენ. ტუსაღებთან ერთად გაიქცა ციხის დარაჯი კონსტანტინე მიქაძე.

◆ მძარცველების მოკვლა. 5 ნოემბერს, ხუთი შეიარაღებული ბოროტგამზრახველი შევიდა ვ. პორტნოვის ბინაზე და დაუწყეს ცემა ბინის პატრონს და სთხოვდენ ფულს. მეორე ოთახიდან მამას მოეშველა შვილი, წაართვა ბოროტ-გამზრახველს რევოლვერი, დასჭრა ორი მძარცველთაგანი, სამმა თავს უშველა გაქცევით. ერთი დაჭრილთაგანი აღმოჩნდა აკაკი ჭუბაბრია, რომელიც გარდაიცვალა.

◆ გიმნასტიკა ჯარში. მთავრობის დავალებით „შავარდენის“ ტეხნიკური კომისია შეიმუშავებს გეგმას ჯარში გიმნასტიკის სწავლების სახელმძღვანელოთ.

◆ ქალაქის საბჭოს დადგენილება. ქალაქის ის მოსამსახურეები, რომლებიც გაგზავნილ არიან სამუშაოთ სხვადასხვა საზოგადოებრივ და სახელმწიფო დაწესებულებებში, არ მიიღებენ ჯამაგირს ქალაქის კასიდან, გარდა იმ შომატების, რომელიც დამსახურებული აქვთ მათ.

◆ სასწავლებლების რევიზია. განათლების მინისტრის განკარგულებით 5 ნოემბრიდან შეუდგნენ ყველა არსებულ თფილისის კერძო სასწავლებლების რევიზიას.

◆ პარლამენტის იურიდიულ კომისიაში შეიტანეს მთავრობის თავმჯდომარის კანონ-პროექტი უძრავ ქონებათა ჩამორთმევისა, დროებითი დაკავების და სარგებლობისა სახელმწიფოს საჭიროებისთვის.

◆ მთავრობამ დაავალა სავაჭრო-რეწვეულობის სამინისტროს, რომ სახელმწიფო დაწესებულებათა მოთხოვნილება სათბობ მასალის შესახებ, პირველ რიგში უნდა იქნეს დაკმაყოფილებული.

◆ შეპყრობა. მილიციის უფროსის დადგენილებით შეიპყრეს და ციხეში ჩასვეს: დავით ლოლიძე, შალვა ტუტაშვილი, ვლად. ვასაძე და კატელაძე. მათ ბრალდებათ ძარცვა-რბევის განზრახვა.

◆ სადმელიდან (რაჭა). იქაური ფოსტის უფროსის ჭანტურიასაგან შემდეგი დეპეშა მივიღეთ: სადმელში გავრცელდა ახალი ავათმყოფობა „ისპანკა“. ყოველ ოჯახში ორი სამი, ხან ხუთი ავათმყოფი წევს. მსხვერპლთა რიცხვი დღითი დღე მრავლდება. არ არის საკმაო საექიმო პერსონალი. საჭიროა მიღებულ იქნას დაუყონებლივ ზომები. წინააღმდეგ შემთხვევაში მოსალოდნელია მეტად სამწუხარო შედეგი. ეს დეპეშა გადაეცა შინაგან საქმეთა სამინისტროს.

◆ უფასო სამკითხველო გახსნა ქალაქის თვითმართველობამ მეხუთე ნაწილში—სამკითხველოს მოსდის ყველა ადგილობრივი გაზეთები. უქმე დღეებს გარდა, სამკითხველო ღიაა ყოველ დღე 10—2 საათამდე და საღამოთი 5—8 საათამდე. ადრესი: „ტიომნი რიადი“, № 24.

◆ დანიშვნა. მილიციის უფროსის ბრძანებით მილიციის სამმართველოს საქმის გამგეთ დაინიშნა წივწივაძე.

კრებები.

დღეს, საღ. 6 საათზე, მე 6 სავაჟო გიმნაზიაში (უდელის ქ. № 3). მეოთხე რაიონის კოლექტივი იწვევს აღნიშნულ რაიონის ს. დ. მ. პარტიის წევრთა საერთო კრებას. დღის წესრიგი: 1) მუშათა საკითხი, 2) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 3) დელეგატის არჩევა საოლქო ყრილობაზე. მომხსენებლათ მუშათა კითხვის შესახებ მოწვეულია გ. ერაძე.

— დღეს, საღამოს 5 საათზე, ბიუროს ბინაზე შესდგება მეორე რაიონის კოლექტივის წევრთა კრება.

— დღეს, 7 ნოემბერს დანიშნულია მესამე რაიონის კოლექტივის მორიგი სხდომა (კახეთის ქუჩა № 1) საღამოს 6 საათზე.

— დღეს, 7 ნოემბერს, ბიუროს ბინაზე საღამოს 6 საათზე დანიშნულია მე-6 რაიონულ კოლექტივის წევრთა მორიგი კრება.

— 7 ნოემბერს, 1 საათზე „ახალი კვალის“ რედაქციაში დანიშნულია ახალგაზრდა მარქსისტთა ცენტრალური კომიტეტის პრეზიდიუმის კრება.

# დუშეთის მაზრის საერობო არჩევნები

დუშეთის სამაზრო სოც.-დემ. კომიტეტმა შემდეგი მოწოდება გამოსცა:

მუშებო, ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ამხანაგებო! დუშეთის მაზრა ჩამორჩა სხვა კუთხეებს. გორმა, თელავმა, სიღნაღმა უკვე აირჩია თავის ერობა, თვით იტვირთა თავის საქმეების მოწყობა და ხალხის კეთილდღეობაზე ზრუნვა.

ერობა—ეს ხალხისგან თავის საქმის მოწყობა, ეს სხვის ბატონობისა და თვალში შეცქერისაგან განთავისუფლება.

ერობა ნიშნავს—სოფლათ სწავლა განათლების, მართვა-გამგეობის, გზების გაყვანის, ხიდების აგების, საავათმყოფოების აშენების ხალხის ხელში გადასვლას. თქვენ უნდა თვით აირჩიოთ ვინ გსურთ გამგეთ. ვის ენდობა თქვენი აზრი და გონება, ვის ჩააბარებთ ბედს მთელი მაზრისას. ვისგან მოელით მის კეთილად მოწყობას და აყვავებას.

თქვენთან მოვლენ ყოველი ჯურის ხალხი. ბოლშევიკები იარაღით აჯანყებას და ძმათა სისხლის ღვრას გიქადაგებდენ, რითაც ბედნიერებას გპირდებოდნენ, მათი სიტყვა, რომ მატყუარობა იყო და საქმე, სისხლიანი ბოროტება, ხალხისა და თავისუფლების წინაშე, ეს დღეს, ვგონებ ყველასათვის ცხადი უნდა იყოს. ამიტომ ვერ ბედავენ ისინი დღეს აშკარათ გამოსვლას, ხალხის ნება-სურვილზე დამორჩილებას. მათ ეშინიათ ხალხის განაჩენის. სამაგიეროთ ბოლშევიკური დაპირებებით და მაღალ მაღალი სიტყვებით გევლინებათ თქვენ სოციალისტ - ფედერალისტები: თქვენ დიდი ტანჯვა გადაიტანეთ ბოლშევიკების ავანტიურის წყალობით. ეხლა ფედერალისტები აპირებენ მათ ადგილის დაჭერას.

ამხანაგო გლეხებო! ჩვენ არ ვეხებით მათ დაპირებებს. სიტყვა ჩიტივით გაფრინდება. თქვენ ჰკითხეთ მეზობელ მაზრის გლეხებს: გორის, თელავის, სიღნაღის გლეხებმა თავის ნდობით ვინ აღჭურვეს? მათ ნდობა გამოუცხადეს სოც.-დემ. მუშათა პარტიის კანდიდატებს. რათა? იმიტომ რომ ჩვენ ბევრს ვპირდებოდით? იმიტომ, რომ ჩვენ რასაცა ვამბობთ კიდეც ვასრულებთ.

ჩვენ ვებრძოდით თვითმპყრობელობას და დავანგრიეთ იგი. ჩვენ ჩავუდექით ხალხს სათავეში, როცა ოსმალეთი შემოგვესია და მოვახერხეთ მისი თავიდან მოშორება.

ჩვენ წინააღვუდექით გამანადგურებელი შინაური ომის მქადაგებელ ბოლშევიკებს და მოღალატე, ოსმალეთის აგენტებისაგან მოტყუებულ პირებს და ქვეყანათ მშვიდობიანობის ჩამოგდებას რამდენიმეთ მაინც მივაღწიეთ.

ჩვენ ჩამოვართვით უკვე მიწები მემამულეებს. ამ დღეებში ჩვენ უკვე შევუდგებით ამ მიწების საკუთრებათ დამტკიცებას უმიწაწყლო გლეხებს შორის. ჩვენ გვქონდა პროგრამა დემოკრატიული სახელმწიფოს შექმნის და დღეს უკვე გვაქვს დემოკრატიული წყობილება, რომელსაც საბოლოოთ დაამშვიდებს დამფუძნებელი კრება, მთელი ხალხის მიერ არჩეული.

დღეს თქვენ ირჩევთ ერობას, ე. ი. დუშეთის ბატონ-პატრონს, რომელიც უნდა საფუძვლად დაედვას რესპუბლიკურ წესების დამკვიდრებას და გამაგრებას ამ მაზრაში.

დღეს თქვენ ირჩევთ ხალხს, რომლებმაც უნდა იზრუნონ ყველა ამ რეფორმების გატარებაზე, რომელთაც რესპუბლიკა შეიმუშავებს ხალხის საკეთილდღეოდ.

და მუშათა პარტიის გარეშე ვინ გამოგადგებათ თქვენ ამ საქმეში?

თფილისის თქვენი მოძმენი, თქვენი შვილები, რომელნიც ქალაქში ღვრიან ოფლს, ყველანი სოციალ-დემოკრატიას უდგანან გვერდში, მას მისდევენ, მის აზრს იზიარებენ, თვით სოც.-დემოკრატიული პარტია ამ მუშებისაგან შესდგება.

და თუ თქვენ გსურთ ამხანაგობა და მჭიდრო კავშირი ქალაქის მუშებთან, რომელნიც რევოლიუციას მეთაურობენ, თუ თქვენ გინდათ მიიღოთ მიწა და თავისუფლება არა ცარიელი სიტყვით, არამედ საქმით, სიმტკიცით, სიმაგრით, და სამუდამოთ, მხარი დაუჭირეთ სოციალ-დემოკრატიის სიას № 1.

არც ერთი ხმა სხვა პარტიებს. ქალაქის მუშებთან და მთელ საქართველოს გლეხებთან ერთად მიეცით ხმა № 1. ვინც ყველა გლეხებს ემხრობა, ის № 1 მისცემს ხმას. ვინც საქართველოს გლეხკაცობას გადაუდგება და გამოეყოფა—ის სხვა ნომრებს აირჩევს.

ჩვენ გვწამს თქვენი სიმწიფე, ამხანაგებო, დუშეთის გლეხებო, ჩვენ გვწამს თქვენი მომზადება. და გვწამს, რომ თქვენი ნდობა ექნება მუშებს და გლეხებს, ე. ი. № 1.

მოდით ყველანი საარჩევნო ყუთთან და ბარათი № 1 ჩააგდეთ შიგ.

მაშინ მოიხდით თქვენს ვალს და ეძმობით ყველა თქვენს მოძმეებს.

დუშეთის მაზრის ს. დ. კომიტეტი.

# სომეხი ნაციონალისტები და მათი მწერლები

ბედმა თუ უბედობამ მარგუნა რუსეთის ზოგიერთ ქალაქებში ყოფნა: მთელ თვე ნახევარს გაფაციცებით ვადევნებდი თვალს გაზეთებს, მაინტერესებდა, თუ რას ფიქრობენ ჩვენზე და რას სწერენ. კუბანისა, როსტოვისა და ყირიმის გაზეთების ისეთ ნომერს ვერ აიღებ ხელში, რომელშიაც ქართველების ლანძღვა-გინება არ იყოს დასტამბული. ამ საზიზღარი ჭორების დაუშრეტელი წყარო გახლავთ ჩალუხშიანის დიდი ფორმატის გაზეთი „პრიაზოვსკი კრაი“ (როსტოვში გამოდის). ეს გაზეთი აქაური „კავკასკოე სლოვოს“ ტყუპის ცალია, მხოლოდ აკლია ბ. ლევან ყიფიანი, მაგრამ რასაც აქ ეს უბადლო მწერალი დასწერს, იმას რუსეთში ჩალუხშიანები და კომპ. თავიანთ გაზეთებში გადაბეჭდავენ და დასძენენ: თვით ქართველი ცნობილი პუბლიცისტი ლევან ყიფიანი აი რას სწერსო. ყველაფერს ავს ჩვენს შესახებ ლევან ყიფიანით ასაბუთებენ, მის აზრსა და წერილებს ეყრდნობიან. თუ რა ჭორებით კვებავენ რუსის საზოგადოებას ჩალუხშიანები, შემდეგი კურიოზიდან დაინახავთ: მე რომ რუსეთში გავემგზავრე, საქართველოს ავტოკეფალური ეკლესიის კათალიკოსი კირიონ მეორის უკვე ორმოცი იყო გადახდილი, ასე რომ, მისი გარდაცვალებიდან ორი თვის შემდეგ „პრიაზოვსკი კრაის“ ნომერში ვკითხულობ დეპეშას თფილისიდან: „თფილისიდან 8 ვერსის მოშორებით მოჰკლეს სომეხ-გრიგორიანთა ავტოკეფალური ეკლესიის კათალიკოზი კირიონ მეორე, მკვლელები მიიმალნენ“. ჩემი წინასწარი გრძნობა გამართლდა: დეპეშა გადმობეჭდა შულგინის გაზეთმა (მოხალისეთა რაზმის [illegible]) და განმარტებათ დასძინა: ქართველები სომხებს ისე სდევნიან, რომ წმინდა ეკლესიის მსახურს, მოხუც კათალიკოზსაც კი არ ინდობენ და ტყვიით გულს უხვრეტენო, ამას აჰყვა ყვითელი პრესის პატარა გაზეთები და იმის წინასწარმეტყველებაც კი დაიწყეს, რომ ქართველები სომხებს დაირევიან და თათარ-სომხეთა ცხრაას ხუთის წლის ქლეტას დაგვაიწყებენო. ვიცოდი, რომ სომხის შოვინისტური ბურჟუაზია სპეკულიაციით ქებულია, მაგრამ ჩვენი მიცვალებულით თუ ვაჭრობას დაიწყებდა, ეს კი აღარ მეგონა.

აპ. წულაძე.

# სოფლად მცხოვრები რუსები სომხეთში

ამიერ-კავკასიის რუსთა ეროვნულ საბჭოში მოხსენება გააკეთა ერევნის და განჯის გუბერნიების ამ საბჭოს განყოფილების თავმჯდომარემ.

მომხსენებლის გადმოცემით ყველაზე უფრო საძნელო საქმე ამ გუბერნიებში მცხოვრებ რუსებისთვის სურსათის საკითხია. მისი სიტყვით, ადერბეიჯანის მთავრობამ აღუთქვა რუსებს 20 ათასი ფუთი ხორბალის გადაცვლა ქართოფილზე, მაგრამ სომხეთის მთავრობამ ქართოფილის გატანის ნება არ მისცა, ვინაიდან ჩვენ თითონ მოგვცემთ პურს ქართოფილის ნაცვლადო.

20 სექტემბერს, სომეხთა რესპუბლიკის სასურსათო კომისარმა აღგვითქვა 3,200 ფუთი პური, მაგრამ დღემდე დაპირება შესრულებული არ არის. საზოგადოთ, სასურსათო საქმეში სომხეთის რესპუბლიკაში რაღაც არევ დარევას აქვს ადგილი. მთავრობას ზოგი რამ შეუძლია ჩამოართვას ხალხს, მაგრამ საეჭვოა, რომ რაიმე მისცეს. რეკვიზიციის წინააღმდეგ პროტესტს არავინ ყურადღებას არ აქცევს. სომხეთის მთავრობა ყველას ერთნაირად ექცევა,—როგორც რუსებს, ისე სომხებს. სომხეთის ტერიტორიაზე მცხოვრებ თათრებს საკუთარი მილიცია და ბოქაულები ჰყავთ, სომხის ადმინისტრაცია კი ცდილობს ეს არ შეამჩნიოს. გლეხებსართმევენ რეკვიზიციის სახით თივას, მათი ინტერესები კი მხედველობაში არ არის მიღებული. სიტყვით სომხეთის მთავრობა მეტის მეტ გულკეთილობას იჩენს, მაგრამ საქმით სულ სხვა გამოდის. დაპირებანი დაპირებათვე რჩება, პრაქტიკულად არაფერი არ ხორციელდება. „უჩასტკების“ უფროსები ძველი რეჟიმის დროის ბოქაულები არიან. ისინი ხშირად ფიზიკურ ძალას მიმართავენ არა მარტო ჩვეულებრივ მოქალაქეთა, არამედ—თანამდებობის, საზოგადოებათა მიერ არჩეული მოსამსახურე პირთა წინააღმდეგაც. რუსი გლეხები მეტად უკმაყოფილონი არიან ასეთი მდგომარეობით, ყველანი რუსეთისაკენ მიისწრაფვიან (ტ. ლ.).

# რუსი აფიცრების დეპუტაცია ნური ფაშასთან

ბაქოში მყოფ რუს აფიცრებს და მათ ოჯახებს დახმარება დაუნიშნეს. ამის გამო 2 ნოემბერს რუსი აფიცრების დელეგაცია წარუდგა კავკასიის მუსულმანთა არმიის მთავარ სარდალს ნური ფაშას. დელეგატებათ იყო რუსის არმიის 3 პოლკოვნიკი. დელეგაციამ რუსი აფიცრების და მათი ოჯახების სახელით მადლობა მოახსენა ნური ფაშას. ერთმა აფიცერმა შემდეგის სიტყვებით მიმართა ნური ფაშას: „თქვენი აღმატებულების მიერ რუსთა აფიცრებისთვის ფულად და სურსათით დახმარების დანიშვნა ჩვენზე კარგს შთაბეჭდილებას სტოვებს მორალურის მხრით. მერწმუნეთ, რომ გულწრფელობით, რომელიც თან ახლავს რუსის სულს, ჩვენ სამახსოვროდ დაგვრჩება თქვენ მიერ მიღებული ზომების შესახებ, მეტად კეთილი მოგონებანი“.

- ნური ფაშამ მეტის მეტი გულწრფელობით უპასუხა: „ჩვენ და თქვენ, დღეს ჯარისკაცები ვართ. ჭეშმარიტი თურქის ასკერი ვერას დროს ვერ შეურიგდება იმ მოვლენას, რომ მისი ამხანაგი რუსის ოჯახობა გაჭირვება-შევიწროვებაში იმყოფებოდეს. ამიტომ ჩვენი არმიისა და ადერბეიჯანის მთავრობის სახელით ვცდილობთ შეძლების-დაგვარათ შევიმსუბუქოთ მდგომარეობა“. ამის შემდეგ ფაშამ ხელი ჩამოართვა რუს პოლკოვნიკებს და თანაგრძნობით გააცილა ისინი. („ად.“).

# ხმა ქუთაისიდან

საჭიროდ ვსთვლით გაცნობოთ ჩვენს საზოგადოებას, თუ რა მდგომარეობაში იმყოფება ქუთაისი აქამდის მუსიკალურის მხრივ. ჩვენი ქალაქი, თითქოს მოწყვეტილია კულტურულ მხარეს. იშვიათად ქარი თუ შემოიტანდა არტისტებს, რომელნიც ცხოვრების მაჯას აგვიტოკავდნენ და ცნერვის ჩაგვინერგავდნენ. არავითარი ჩვენთვის მომზადება, სწავლა-ცოდნა. სიმნელით იყო და არის მოცული ქუთაისი ხელოვნების მხრივ. თუ ვისმეს შესწევდა შეძლება, თფილისში მიდიოდა თეატრების და კონცერტების მოსასმენად, რომ კულტურულად სული ამოედგა. სურვილს იკმაყოფილებდა, ვით ხარბი ადამიანი დაეწაფებოდა ხელოვნების შემოქმედებას და ისევ ბრუნდებოდა ქუთაისში. აქ ატარებს დროს ცოტად მაინც განვითარებული ადამიანი.

დასავლეთი საქართველო ძალიან მდიდარია ხალხური სიმღერებით. ის დიდ განძს შეადგენს მუსიკალურ ლიტერატურაში. ეს სიმდიდრე, მარგალიტი ჩვენი ერისა, გაფანტულია მთელ იმერეთში, ხალხი სიცოცხლით და ენერგიით არის აღჭურვილი, მაგრამ რა ქნას კარგმა მეომარმა, თუ წინამძღოლი არ ეყოლება. დღითი-დღე ვრცელდება გიტარა, მახინჯდება ხალხური მუსიკა, ირყვნება ხაზი, მდიდარი, კეკლუცი და პატრიოტული გრძნობა იმერეთისა შაბლონურ და ზნედაცემულ სიმღერებით: არც შინაარსი, არც მელოდია არ კვებავს ხალხის მისწრაფებას.

თქმა არ უნდა, რომ [illegible] 2 ოქტომბერს, 1918 წ. [illegible] ლანჩხვაძისაგან გამოცხადებული კრება, როგორც ქართულ სამუსიკო საზოგადოების მთავარ გამგეობის რწმუნებული, ჩვენმა ქუთათურებმა დიდის აღტაცებით მიიღო.

ბ. მ. ბალანჩივაძემ მკაფიოდ განმარტა მთავარ გამგეობის სამუსიკო საზოგადოების მიზანი, რომ ქ. ქუთაისში დაარსოს თავის სამუსიკო განყოფილება სკოლით, წაუკითხა წესდება და გაგვაცნო ფართო გეგმა მთავარ საზოგადოებისა.

დრო არის ავანთოთ კულტურის ლამპარი და გავაშუქოთ ხელოვნების სხივებით ჩვენი ლამაზ კაზმული ქვეყანა.

იყო დრო, როდესაც ხელოვნებას გასართობ საგნად სთვლიდნენ—ეხლა კი ვხედავთ მის მნიშვნელობას. ხელოვნება ისეთივე აუცილებელი საგანია, როგორც წერა-კითხვა, სწავლა-განათლება. ხელოვნება არის სულის [illegible], ზნე ჩვეულების სარკე და კულტურის ესთეტიურ დამამშვენებელი მხარე.

აილეთ ჩვენში მდიდარი თუ ღარიბი, ჭირში თუ ლხინში სულ ღიღინებს, სიმღერაში ატარებს მთელ თავის სიცოცხლეს.

დრო არის ყურადღება მიექცეს ხელოვნების დარგს. ქართულ სამუსიკო საზოგადოებამ მკვიდრად [illegible] ამერეთი და იმერეთი, ერთად უნდა ააშენოთ სასურველი ხელოვნების ტაძარი. ქუთაისი მიესალმება თფილისს ძმურის გულგაშლით და იმედოვნებს, რომ ქართული სამუსიკო საზოგადოება გარდაიქცევა „საქართველოს სამუსიკო საზოგადოებად“, კონსერვატორიის მაგიერ თფილისში და ქუთაისში გახსნის უმაღლეს სამუსიკო აკადემიას და სამუსიკო სკოლებს, რომლებიც მოამზადებენ, როგორც აღმასრულებელ არტისტებს, აგრეთვე მცოდნე კომპოზიტორებს, შეჰქმნიან მასწავლებელთა შტატს და სხ.

საქართველოს სამუსიკო საზოგადოება-კი მოაგროვებს ხალხურ სიმღერებს, შეამუშავებს, გაავრცელებს, შეჰქმნის ქართულ ოპერის დასს, აწარმოებს სამუსიკო სეზონებს, კონცერტებს, გააფართოვებს ჩვენს ცხოვრების მოთხოვნილებას.

სამუსიკო საზოგადოებასთან უნდა მოგროვდეს ყოველი ქართველი მუსიკოსი. ეს ერთად ერთი აპარატი უნდა იყოს, რომ აამუშაოს მთელ საქართველოს სამუსიკო ჩარხი.

მაშ, შევუდგეთ ნამდვილ საქმეს. გვწამს, რომ ამისთანა „საზოგადოებას“ მხარს დაუჭერს მთელი ერი და ჩვენი მთავრობა განახორციელებს ერის ალორძინების მისწრაფებას.

მიუდგომელი.

# ს.-დემ. პარტიაში

ხ. საგარეჯო (გარეთ-კახეთი). 3 ნოემბერს შესდგა ადგილობრივი სოც.-დ. ორგანიზაციის წევრთა კრება. განსახილველი იყო შემდეგი კითხვები: მიმდინარე მომენტი, პარტიული ყრილობა, დელეგატის არჩევა, პრეზიდიუმის რეორგანიზაცია, წლიური ხარჯთ-აღრიცხვა, ადგილობრივი სახალხო გვარდია და მიმდინარე კითხვები.

კრებას თავმჯდომარეობდა ო. ლაცაბიძე, რომელმაც გააკეთა მოხსენება მიმდინარე მომენტზე და შემდეგ მომავალ პარტიულ ყრილობაზე. კრება იმუშავებს დირექტივებს პარტიულ ყრილობისას და დელეგატათ ირჩევს ო. ლაცაბიძეს.

ამის შემდეგ კრებამ განიხილა პრეზიდიუმის რეორგანიზაციის საკითხი და დაადგინა, რომ რადგანაც პრეზიდიუმის თავმჯდომარეზე ხალხში არა სასიამოვნო ხმები არის გავრცელებული, ეს კი ჩირქსა სცხებს პარტიის საქმეს, ამიტომ გადაყენებულ იქნას. მის მაგიერ აირჩიეს ი. აზარიაშვილი, რომელსაც დაევალა განაცხოველოს პარტიული მუშაობა.

წლიურ ხარჯთ-აღრიცხვაზე მოკლე მოხსენებას აკეთებს ი. აზარიაშვილი, საიდანაც ირკვევა, რომ ანგარიშები აწეწილ-დაწეწილია, უმთავრესათ კი ამ ზაფხულს პარტიის სასარგებლოთ სეირნობის შემოსავლის ანგარიში, საიდანაც დაახლოვებით უნდა დარჩენილიყო წმინდა 1,500 მანეთი. მაგრამ პრეზიდიუმს გამოარკვიოს ანგარიშები და შემდეგ კრებაზე წარუდგინოს დასამტკიცებლათ.

კრებამ განიხილა აგრეთვე ადგილობრივი სახალხო გვარდიის შემადგენლობა და მათი საქმიანობა. გამოირკვა, რომ გვარდიაში თავი მოუყრიათ ზოგიერთ ისეთ პირებს, რომლებიც წინათ გახთქმულნი იყვნენ „საგმირო საქმეებით“ და დღესაც განაგრძობენ თავიანთ ბნელ საქმიანობას. კრებამ გადასწყვიტა შეატყობინოს ყველა ეს უმთავრეს სახალხო გვარდიის შტაბს და სთხოვოს, რომ მალე გამოგზავნონ რწმუნებული, რომელიც ადგილობრივი ს. დ. ორგანიზაციის დახმარებით გასწმენდს გვარდიელებს და დაუკავშირებს უმთავრეს შტაბს.

და ბოლოს კრებამ ყურადღება მიაქ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ცია ზოგიერთ პირების მოკვლის საქმეს. რადგანაც ხალხში ხმები არის გავრცელებული, პარტიებიდან არის დანიშნული ტერორი და ამის გარდა ვინც და ხოცეს კიდევ მეტი უნდა დახოცონო და ეს კი ძალიან აღელვებს ხალხს, კრებამ გამოჰყო კომისია, რომელიც გამოიკვლევს ამ საქმეს და შეეცდება ნიღაბი ჩამოხადოს ბნელეთის მოციქულებს.

თ. მაშოშვილი.

# მუშათა შორის

**ტრამვაის მუშათა შორის.** თფილისის ტრამვაის მუშათა კავშირის გამგეობამ თფილისის გუბერნიის შრომის კომისართან შეიტანა შემდეგი განცხადება: ვინაიდან ტრამვაის სახელოსნოში რემონტზე მუშაობა ძლიერ მძიმე პირობებში ხდება, განსაკუთრებით ღამით და ტრამვაის ცენტრალური ელექტრონის სადგურზე მუშაობა ღამით დიდ შრომასა და ენერგიას თხოულობს, ტრამვაის მუშათა პროფესიონალური კავშირის გამგეობა გთხოვთ დანიშნოთ საქმოს-სატეხნიკო კომისია, რომელიც დაათვალიერებს და გაეცნობა დასახელებულ განყოფილებაში ღამით მუშაობას. ღამით მორიგეობა ხდება ღამის 10 ნახ. საათიდან დილის 4 ნახ. საათამდე შეკეთებაზე და ღამის 11 საათიდან დილის 5 საათამდე ცენტრალურ სადგურზე.

შრომის კომისარმა ამ საკითხის გამოსარკვევად მოიწვია თათბირი, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს ტრამვაის მუშათა პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებმა. თათბირი გაიხსნა 27 სექტემბერს. კომისრის შეკითხვაზე პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ ღამით გამომცვლელი მუშაობა ტრამვაის უსახელო საზოგადოების პატრონობის დროს მიმდინარე შეკეთების დრო იყო 5 საათი (1915 წელს) ამასთანავე არავითარი ზედმეტი შრომა არ იყო. პროფესიონალური კავშირის წარმომადგენლებმა წამოაყენეს შემდეგი მოთხოვნილებები:

1) ღამის გამომცვლელი მუშაობა დღეში 5 საათს არ უნდა აღემატებოდეს; 2) მიეცეს თვითეულ მუშას მუშაობის დროს თითო ხელი ზედა ტანისამოსი და რეზინის ფეხსაცმელი; 3) მიეცეს მიმდინარე შეკეთებაზე ყველა, მომუშავეთ 1 გირვანქა საპონი; 4) გამორკვეულ იქნას პირასკევ ღამის დამით მომუშავეთა დრო ისე, როგორც ღამით გამომცვლელთა, რომელნიც უქმის წინა დღეს მუშაობენ—4 საათს; 5) მოეთხოვოს ქალაქის გამგეობას დამატებითი ფასები ღამის გამომცვლელთა შაბათ ღამის მუშაობისათვის ახალი წესის შემოღებიდან, ესე იგი 1918 წ. 1 ივნისიდან; 6) ზამთარში (1 ნოემბრიდან 1 აპრილამდე) ღამის მუშაობის დროს განუწყვეტლივ უნდა ენთოს ორი „ფეჩი“, ამასთანავე შეშა უნდა მიეცეთ იმდენი, რამდენიც მათთვის აუცილებლივ საჭირო იქნება, 7) ღამის მომუშავეთათვის აშენებულ უნდა იქნას სპეციალური სამორიგეო ოთახი, 8) ყველა ზემოთ დასახელებული კითხვები უნდა გადაეცეს გასარჩევათ სამედიატორო თათბირს, რომელშიაც შევლენ შრომის კომისარი, პროფესიონალური კავშირის საბჭოთა წარმომადგენელი და მუშათა დეპუტატების საბჭოს მუშათა სექცია, რომელსაც ორივე მხარის შეთანხმებით მინდობილი ჰქონდა განსახილველად შერეული კომისიის ყველა სადაო კითხვები ამა წლის მაისში.

სამედიატორო თათბირში მონაწილეობა მიიღეს: შრომის კომისარმა ლ. გლბაქიანმა, პროფესიონალურ კავშირთა წარმომადგენელმა სლუცკიმ, მუშათა სექციის მუშათა და ჯარისკაცთა დეპუტატების საბჭოს წარმომადგენელმა ტოფაძემ.

სხდომაზე გამოცხადდნენ: ქალაქის გამგეობის წარმომადგენელი — ტრამვაის დირექტორი მირზოევი და ტრამვაის პროფესიონალურ კავშირის წარმომადგენელნი: უსენაშვილი, ტრიუსი, მინასარიანი, როდიგინი და გურგენიძე.

სხდომა გაიხსნა 22 ოქტომბერს.

თავმჯდომარის შეკითხვაზე,—რა აქვს ადმინისტრაციას მუშების მიერ წამოყენებულ მოთხოვნილების წინააღმდეგ, ტრამვაის დირექტორმა განაცხადა, 1) მე-6 და მე-7 მუხლების მოთხოვნილებაზე ადმინისტრაციას არაფერი არა აქვს საწინააღმდეგო; 2) ღამის გამოცვლის შემოღების დროს სახეში უნდა მივიღოთ, რომ ყველა მუშებს ერთ პირობებში არ უხდებათ მუშაობა. შრომის სიმძიმის მხრივ ისინი დაყოფილი უნდა იქნან ორ კატეგორიათ: ა) დაბლა, თხრილებში მომუშავენი და ბ) ზევით მომუშავენი. 5 საათის სამუშაო დროს შემოღება შემოღება შეიძლება იმ ღამის გამომცვლელ მუშებისთვის, რომელნიც პირველ კატეგორიაში მუშაობენ. პირველ კატეგორიას უნდა მიეწეროს: „შლიაკოვები“, „ტორმოზნიკები“, ვაგონის ქვეშეთა ნაწილში მომუშავენი, დაბლა ნაწილის ზეთის წამსობნი და ისინი, რომელნიც კერძო სამუშაოზე ინიშნებიან, 3) მესამე პუნქტის შესახებ ადმინისტრაციამ უნდა განაცხადოს, რომ „პლაშჩები“ უნდა მიეცეთ მათ, რომელნიც დაბლა სამუშაოზე იქნებიან დანიშნულნი. 4) მე-4 და მე-5 პუნქტები დეკრეტს არ ეთანხმება.

პროფესიონალური კავშირის წარმომადგენელი დაჟინებით მოითხოვს თავისი წინანდელ მოთხოვნილების დაკმაყოფილებას.

თათბირმა 23 ოქტომბრის სხდომაზე დაადგინა: დაწესდეს 5 საათის სამუშაო 1 ნოემბრიდან პირველ აპრილამდე ღამე მომუშავეთათვის. 2) მიეცეს ყველა იმ მუშებს, რომლებიც მუდმივათ მუშ ობენ თხრილებში თითო „პლაშჩი“ ერთი წლის ვადით. ის პირნი, ვინც არ მუშაობენ თხრილებში სისტემატიურათ, მათ „პლაშჩი“ მიეცეს მუშაობის დროს. ის მუშები, ვინც დათხოვნილი იქნებიან სამსახურიდან, ვალდებული არიან—თუ ერთ წელზე ნაკლებს ატარებდენ „პლაშჩს“, დაუბრუნონ უკან; წინააღმდეგ შემთხვევაში ჯამაგირიდან ღირებულ ფასს გამოუქვითავენ. ყველა იმ მუშებს, ვინც იმუშავებს ძირს (თხრილებში) მიეცემათ რეზინის ფეხსაცმელები, რომლებიც ყოველ დღე მუშაობის შემდეგ უნდა ჩააბარონ. 3) მიეცეს ყველა მუშას ყოველთვის პირველს ერთი გირვანქა საპონი. 4) უქმეების წინა დღეებში და შაბათობით მუშაობა ისევე სწარმოებს როგორც საერთოთ. 5) რადგანაც კვირა დღის მუშაობის ფასი აღნიშნულია შრომის სამინისტროს დეკრეტში, ეს კითხვა გადაეცეს გასარჩევათ შრომის სამინისტროს. 6) ზამთარში,—1 ნოემბრიდან 1 აპრილამდე მიმდინარე შეკეთების შენობაში ღამით მუშაობის დროს განუწყვეტლივ უნდა ენთოს ორი „ფეჩი“, ამასთანავე შეშა უნდა მიეცეთ იმდენი, რამდენიც აუცილებლათ საჭირო იქნება. 7) მუშაობის დაწყებამდე და მუშაობის გათავების შემდეგ მიმდინარე რემონტის მუშებს უნდა მიეცეთ ცხელი ოთახი.

X.

# პროვინცია

**დუშეთის მაზრაში.** 1918 წ. ოქტომბრის 19 მოხდა ქართლის საზოგადოების კრება, რომელსაც დაესწრო ხალხი შემდეგი სოფლებიდან: ქართლი, მუგუდა,, დგნალი, სონგა და სხვა. კრებას, თფილისიდგან მოსულ სასოფლო კომისიის წარმომადგენელმა იოსებ ყაჰეშვილმა გააცნო ერობის მნიშვნელობა და მისი დაჩქარებით შემოღების აუცილებლობა, რის შემდეგაც კრებამ სასურველათ და აუცილებელ საჭიროდ სცნო ერობის შემოღება. აირჩია თავის მხრით არჩევნების მომწყობი კომისია შემდეგი პირებისაგან: პაატა ლალიაშვილი, გლახა სუმბათოვი, ექვთიმე გოგიშვილი, მოსე ბალიაშვილი და გრიგოლ წიკლაური, რომელთაც დაევალათ ამომრჩეველთა სიის შედგენა დაუყონებლივ და არჩევნების კანონიერათ ჩატარება.

ამის შემდეგ ი. ყაჰეშვილმა კრებას გააცნო მიმდინარე მომენტი, ბოლშევიკების შეცდომები რუსეთის დიდი რევოლუციის პროცესში, მათგან დამღუპველი კრების გარეკა, რის გამოც დაიქსაქსა ძლევამოსილი რუსეთი და გახდა ყვავ-ყორანთა საძიძგნათ. ნათლათ დაუსურათა კრებას თუ ვინ გაამართლა ცხოვრებამ—ბოლშევიკები, თუ მენშევიკები, რის დასამტკიცებლათ მრავალი საბუთები მოიყვანა. აგრეთვე გააცნო საქართველოს დამოუკიდებლობის აუცილებლობა და დაანახა ხალხს დამოუკიდებლობა, რომ არ გვქონებოდა იმ დღეში ჩავარდებოდით, რა დღეშიც იმყოფება დღეს აზერბეიჯანის სომხობა და ბაქოში მცხოვრები ქართველები და სხვები. ამასთანავე გააცნო ხალხს მთავრობის შემადგენლობა, დაუმტკიცა ხალხს, რომ ჟორდანია, ჩხეიძე, წერეთელი და სხვები, სოციალ-დემოკრატები საქართველოში, არამც თუ ღალატობენ გლეხობას, პირიქით, სოციალ დემოკრატიულ პარტიის გონიერ პოლიტიკას უნდა მიეწეროს, რომ საქართველო და მასში მცხოვრები ყველა ერები იხსნა განადგურებისაგან... თქვენ გეუბნებიან თავადების მოსყიდულია მთავრობა, მაგრამ რით ამტკიცებთ ამას? ვერაფერით... იცით თუ არა თქვენ, რომ თვით ციდან მოფრენილი ანგელოზები რომ ყოფილიყვნენ მთავრობაში, ვერ შესძლებდნენ მეტის გაკეთებას, ვერც იმას, რაც გააკეთა ჩვენმა მთავრობამ? თუ არ იცით, გახსოვდეთ, რომ ირგვლივ ცეცხლის ალში ვიყავით გახვეული... როდესაც თქვენ თავისუფლების დასაცველათ მოგიწოდებდით ოსმალეთის ბარბაროსული მონობის შემომტან ჯარების წინააღმდეგ, თქვენ თითქოს ოსმალეთის მოსყიდულები იყავით აქ ჯანყებას ახდენდით და ჯვარს აკრავდით თავისუფლებისათვის თავდადებულ გმირებს. მე თამამად შემიძლია გითხრათ, რომ მთავრობა კი არ არის მოსყიდული და თქვენ კი ასრულებთ, ნებსით თუ უნებლიეთ, ოსმალეთის მოსყიდულების როლს. აბა რას უნდა მიეწეროს თქვენი აჯანყება? მთავრობამ თუ ერთბაშათ ვერ დაამყარა ბედნიერება, რომლისთვისაც ვიბრძოდით და ვიბრძვით, განა მარტო ამისთვის შეგვიძლია ვუწოდოთ მთავრობას მოსყიდული? ჩვენგან არჩეულ მთავრობის სურვილი ჩვენი კეთილდღეობისთვის დიდი აქვს, მაგრამ საშუალება დღემდე არ იყო ამ სურვილების ცხოვრებაში გასატარებლათ, აწი კი უნდა ვეცადოთ თანდათანობით ყოველ მხრივათ გავიუმჯობესოთ პირობები. ამისთვის საჭიროა თქვენც მოიხადოთ თქვენი მოქალაქობრივი ვალი, გადაიხადოთ კანონის ძალით სახელმწიფო გადასახადები, რომელსაც ისევ თქვენ კეთილდღეობას მოხმარდება, თორემ სახელმწიფოს ღმერთი კი არ უგზავნის ციდან შემოსავალს, რომ იმით ბედნიერება დაამყაროს. უნდა გახსოვდეთ, რომ ვინც გპირდებათ: „ეხლავე დაგიმყარებთ ბედნიერებას, მოგვყევი ჩვენო“ სწორეთ ისეთი ხალხი გატყუებთ... აიღეთ თუ გინდ ბოლშევიკები, ერთი წელია, რაც ისინი ბატონობენ, მაგრამ ძმათა შორის სისხლის ღვრის მეტი არაფერი სიკეთე ხალხისთვის არ მიუციათ მთელ რუსეთში, დანგრევით კი ბევრი რამ დაანგრიეს. ვინც მ გიწოდებთ გასათიშავათ ყველა ჩვენი მტერია. მრავალი საყურადღებო აზრები გადასცა კრებას, რის გამოც თვით ის პირებიც კი დაეჯერა, რომლებიც იძახდნენ: „დაგვანებეთ თავი, არც მენშევიკები გვინდა და არც ბოლშევიკებიო“. კრება საღამოს 4 საათზე კმაყოფილი დაიშალა.

ჯარისკაცი რაჟ. ელენტი.

---

**ხუშხა** (გურია). 19 ოქტომბერს, შემთხვევით ვეყავი სოფლის სასაფლაოზე, რომელიც წარმოადგენს ძროხების და ღორების საბალახოს. ეს სამწუხაროა და არ შეშვენის სუფსის საზოგადოებას. ეს ის სასაფლაოა, რომელშიც გულში ჩაიკრა ჩვენი სახელოვანი გვარდიის მეზარბაზნეთა ხელმძღვანელი ამხ. ვალერიან შარაშიძე. ვინაიდან სასაფლაო, უპატრონოთაა მიტოვებული, ვალიკოს საფლავზედაც არხეინათ დასეირნობენ პირუტყვები. ყველა ის ამხანაგები, რომლებიც ვალიკოს იცნობდენ, ბევრს იტირებენ, როცა მის საფლავს ნახვენ.

ეს ამ მებრძოლის საფლავია, რომელიც ბევრჯერ იყო ტანჯული სამშობლოს დაცვისათვის, ეს ის ამხანაგია, რომელმაც სახელოვნათ ემსახურა ჩვენს ნორჩ რესპუბლიკას, ეს ის ვალიკოა, რომელიც მხარში ედგა ჩვენი თავისუფლების დიდ დამცველს ვალიკო ჯუღელს და მან ჩვენი ქვეყნის დაცვაშივე ჩააბარა თავისი არსებობა მტრის ტყვიას, ბორჩალოს მაზრაში. და განა ასეთი ამხანაგის საფლავი ისე უპატრონოთ უნდა იყვეს, როგორც არის ეხლა? იმედი მაქვს, რომ ადგილობრივი ამხანაგები, მთავარი შტაბის წევრები, ამის შესახებ იზრუნებენ. უპირველესად კი საჭიროა თვით სასაფლაოს შემოღობვა. არ კმარა მიცვალებულთა მხოლოდ ტირილი, მის კუბოსთან „რეჩები“, ქება და შემდეგ უპატრონოთ მიგდება.

აღსანიშნავია ის მოქმედება, რასაც ჩადიან ჯარისკაცები სუფსის ხიდზე სადარაჯოთ მდგომნი, რომლებიც მთელი დღეების განმავლობაში გადასცქერიან წყალში პაწია თევზებს და „ვინტოვკის“ ტყვიას ესვრიან. როგორც ამხანაგებმა გადმომცეს, ისინი გაუფრთხილებიათ, მაგრამ მაინც თავიანთ საქციელს არ სტოვებენ და თავს წესრიგის დამცველებს უწოდებენ ამის შემდეგ.

დეპოელი.

---

**ახალ-სოფლის საზოგადოება** (გორის მაზრა). ჩვენს საზოგადოებაში ბოლო ეღება ყაჩაღობას და ქურდობას განაჩენების საშუალებით. წრეულ გაზაფხულიდანვე შედგა სოფლის განაჩენები ქურდობის, „ირადის“ (ვაჟა აძლევს ქალის პატრონებს საქონელს, ფულს და სხვა. და შემდეგ ამისა იწერს ჯვარს) და ქალების მოსპობაზე. ჯერჯერობით სპობენ ქურდობას. ჩვენი კომისარი გ. საკიევი და კომიტეტის წევრი ტატე ხაბილოვი დიდ ჯარიმის გადახდით, მაგალითად ქურდს ახდევინებენ ერთი ათად, ე. ი. ერთ ძროხაში ათ თხას და ქურდების ვინაობას აქვეყნებენ სიების შეწებებით. სრული უფლება აქვთ ჩვენი სოფლის მოხელეებს სისრულეში მოიყვანონ აგრეთვე ირადის და ქალების მოსპობის საქმე და ამით გაანთავისუფლონ ღარიბ ღატაკი ოსები ზედ-მეტ უბრალო ხარჯისაგან. ოსები ქართველებთან თანხმობით სცხოვრობენ. პროვოკატორებს ჩვენში ადგილი არ ექნებათ. ერთათ ერთი საყურადღებო კითხვა არის ჩვენში მიწების დატაცება.

ჩვენ მიწა ძალიან ნაკლებ მოსავალს გვაძლევს და, ნახევარზე მეტად ჰირნაბულს ვყიდულობთ ხოლმე ქართლში. რადგანაც ასეთი მოუსავლობაა ჩვენში, ამიტომ ზოგი კახეთში გაიხიზნა, ზოგმა საყავრესში მოხნეს მიწები. სოფ. ხოვლევიდან მოვიდნენ და მთავრობის დაუკითხავად მთლად მოხნეს საყავრესი. მთავრობამ ალაგობრივი გამოძიება მოახდინა და გადაწყვიტა, რომ საყავრესში დარჩნენ ისევ ოსები მანამ, სანამ რეფორმას ცხოვრებაში გაატარებდნენ, მტაცებლები თავიანთ მოქმედებას განაგრძნენ. სხვის მოხნულ მიწებსაც სთესვენ, მაგალითად ფიცესში გაზაფხულის დაუთესეს მისი მოხნული. ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ დემოკრატიული მთავრობა არ გაარჩევს ოსს ქართველისაგან. ჩვენის აზრით მაშინ გასწორდება საქმე, როცა მთავრობა სასტიკ ზომებს მიიღებს ყოველივე უსამართლობის წინააღმდეგ.

ჩვენც გვესტუმრა რაღაც ახალი სენი „ისპანკა“ და ხოლერა. წამალი და ექიმი არსაიდან არ არის, ამ მხრით ბედის ანაბარათ ვართ დატოვებულნი.

გაჩნდა ჩვენში ს. ფიცესში, ლულში, გუსანდისში ღ პატარა ჰვარებში საქონლის ჭირიც და დიდ ზარალს აყენებს მცხოვრებთ. ეს ერთი კვირაა, გავგზავნეთ ჩვენი ჰვარების სკოლის მასწავლებელი დ. გაგლოევი ექიმისა და წამლებისათვის და ჯერ არ მოსულა. ჩვენ მზათა ვართ დახმარება გაუწიოთ მთავრობას შრატის მომზადებაში, ოღონდ სოფელს ეშველოს რამე. ჩვენ საზოგადოებაში 300 კომლზე მეტია, ერთი სასწავლებელი გვაქვს ჰვარებში, მეტი არაფერი. მთავრობას ვთხოვთ რომ მეორე სასწავლებელი გაგვიხსნას ს. ნათლისმცემელში, რაზედაც იყო „პრიგოვორი“ გაგზავნილი. იმედი გვაქვს მთავრობა ამ მეორე სასწავლებელსაც გაგვიხსნის და ამით სწავლის გზას გაუხსნის ჩვენს ახალთაობას.

ხი—ნ.

# ანგარიში

**ბორჯომის ს. დ. მ. პ. რაიონულ კომიტეტის კასის, შემოწმებული საკონტროლო კომისიის მიერ.**

**შემოსავალი:**

| | |
|---|---|
| საწევრო გადასახადიდან | 951—00 |
| შემოწირ. ამხ. კილაძისაგან | 50—00 |
| „ ნ. ნასიძისაგან | 5—00 |
| წიგნაკებიდან | 2—00 |
| სულ | 1008—00 |

**გასავალი:**

| | |
|---|---|
| დაიხარჯა წასვლა-მოსვლაზე | 249—20 |
| წიგნაკებზე | 56—35 |
| საკანცელარიო ნივთები | 42—50 |
| საწევრო ბილეთები | 50—00 |
| პარტიული გაზეთები | 22—30 |
| საოლქო კომიტეტს | 326—00 |
| არჩევნებზე | 101—60 |
| ორკესტრი მიხაილოვიდან | 74—00 |
| სულ | 921—95 |

რჩება კასაში 1 ოქტომბერს 86 მ. 05 კ., რომელიც ჩაიბარა ახლად არჩეულმა კომიტეტმა.

ბორჯომის ს.-დ. მ. პ. რაიონ. კომ.
თავმჯდომარე გ. ურუშაძე.

# განცხადებანი

## რაჭა-ლეჩხუმის

დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის ნახვა შეიძლება ოთხშაბათს, პარასკევს და შაბათს დილის 11—12 საათამდე. გრიბოედოვის ქუჩა № 19, სახელმწიფო კონტროლის ბინა, გ. ჯაფარიძესთან. იქვე შეიძლება საზოგადოებაში წევრათ ჩაწერა. ამავე ბინაზე ხდება საზოგადოების გამგეობის ჩვეულებრივი კრება ყოველ პარასკევს, საღამოს 7 საათზე.

---

ექიმი
**დიმიტრი იოსების ძე ჟორდანია**
დაბრუნდა და განაახლა ავადმყოფების მიღება შინაგანი, ხრონიკული მალარია, სისხლნაკლებობა, ვენერიული, ხრონიკული ტრიპერი, საშარდე მილის სივიწროვე, სიფილისი და მის შედეგები, 606—914 შეშხაპუნება. მიღება საღ. 5—7 ს. მისამართი: გორის ქ. (დიღუბე) № 6. ტილეფ. 1—04.

---

**ექიმი ნიკოლოზ ი. მახვილაძე**
იღებს სპეციალურად—მალარიით (ციება) და მისი შედეგებით დასნეულებულთ, სისხლის ნაკლებობით, გულისა, ფილტვისა, ქარებით და სხვა შინაგან სნეულებით ავათმყოფთ ყოველ დღე საღამოთი 5—7 საათამდე. ელექტრიზაცია. მისამართი: მოსკოვის ქ. № 11, ზემელის აფთიაქის პირდაპირ.

---

ექიმი
## გ. გოლდშტეინი
ყოფილი ასისენტი ბარონ როტშილდის მთავარი თვალის გოსპიტლისა და ჟენევის უნივერსიტეტის კლინიკისა. თვალის ავადმყოფობანი. ამორჩევა სათვალეებისა. მიღება დილის 8—11 ს. და საღამ. 5—8 ს. ნიკოლოზის ქ. № 32.

---

ექიმი
## ლ. ა. სარალიძე
იღებს ყოველდღე შინაგან და ბავშვთა სნეულებიან ავადმყოფთ, საღამოს 6—8 საათამდე. კვირაობით დილის 9—12 ს. ჩერქეზიშვილის ქუჩა № 87. ავჭალის აუდიტორიის ახლო.

---

**მიხეილის კერძო სამკურნალო**
მუდმივ საწოლებით. მიხეილის პრ. № 167, ტელ. 11—35. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილ. 9—2 საათ. და საღამოს 5—7 საათამდე.

ექ. ა. ნ. შატილოვი თვალ. სნეულ. დილ. 9—10 ს., ა. დ. წულუკიძე ქირურგ. და შინაგ. 9—10 ნახ. ს., ი. ნ. ტერ-აკოფოვი ქალ. და საბებიო 10—11 ს., მ. ფ. მგალობლიშვილი ქირ. ღ ქალ. 11—12 ს., მ. ი. ვაჩნაძე შინაგ. და საბავშვო 11—12 ს., ნ. ა. გამრეკელი შინაგ. და ნერვ. დილის 12—1 ს., ა. პ. წულუკიძე ქირ. და შინაგ. საღ. 5—6 ს., კ. ვ. ტყეშელაშვილი ტყავისა და ვენერ. 6—7 ს.

მასაჟი, ელექტრიზაცია, კანის ქვეშ შეშხაპუნება. 606 და 914 შეშხაპუნება. საავათმყოფოსთან არსებობს სამშობიარო განყოფილება ექ. მ. მგალობლისა და ი. ნ. ტერ-აკოფოვის ზედამხედველობით.

---

**რენტგენისა და ელექტრონის სხივებით სამკურნალო კაბინეტი.**
წითელი ჯვრის საზოგადოების და მიხეილის საავადმყოფოს რენტგენის კაბინეტის ყოფილი გამგე
**დოქტორ ა. მ. ლევენშტეინისა.**
ავათმყოფები მიიღება შინაგან, ნერვებისა და ქალის ავადმყოფობა რენტგენოფოტოგრაფია და ფიზიკური მეთოდი ექიმობისა წინასწარ ჩაწერით (დაჭრილები რიგ გარეშე). სპეციალური რენტგენო-დიაგნოსტიკა და ფიზიოტერაპ ა გულისა, ფილტვებისა, კუჭისა და ჭლექის ავადმყოფობისა. მიღება 4—8 საათამდე გარდა კვირა დღეებისა. კრილოვის ქუჩა, სახლი № 5, ბინა № 3, ტელეფონი № 12—46.

---

სამკურნალო კაბინეთი
**ექიმ ალექსანდრე დავითის ძის**
## პეკელიასი
იღებს კანისა, ვენერიულის და სიფილისით ავათმყოფებს (914—606-ის შეშხაპუნება). ავათმყოფთა მიღება დილის 9 საათ. 11 საათამდე და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე. მიხეილის პროსპექტი, № 116, სასტუმრო „ნოე“-ს პირდაპირ. ტელეფონი 14—28.

---

ექიმი
**იოსებ რაჟდენის ძე ცინცაძე**
ღებულობს შინაგან და ვენერიულ ავათმყოფთ საღამოს 5—7 ს. მიხეილის პრ. № 121, ბინა 4. ტელეფონი 11—06.

---

**კბილის საექიმო კაბინეთები**
**თედორე საუვარელის ძე ცხომელიძისა**
ავადმყოფები მიიღება ყოველდღე დილის 9—2 საათამდე და საღამოს 5—6 საათამდე, გარდა კვირა დღეებისა. მისამართი: კალოუბნის ქუჩა (ყოფილი ბარონის), სახელმწიფო ბანკის პირდაპირ, ტელეფონი 13—35.

---

**მძ. ქალი რ. ბ. შიშლო-სამაშვილი**
მედიცინის დოქტორი ჟენევის უნივერსიტეტისა და ედინბურგის მედიკო-ქირურგიულ კოლეჯისა. იღებს ყოველდღე შინაგან, ქალთა და ვენერიულ ავადმყოფებს და ბავშვებს. სიფილისის წამლობა ახალი მეთოდებით. დილის 10—12 ს. და საღამოს 6—7 ნახ. საათამდე. მიხეილის პრ., № 119, სახლი ფურერის. ტელ. 9—26.

---

**მედიცინის დოქტორი**
**ბერლინის უნივერსიტეტისა**
## გ. გ. მეგრაბიანცი
**ჩამოვიდა და განაახლა ავადმყოფების მიღება.**
შინაგანი ავადმყოფობა, ჭლექისა და გულისა. იღებს ახალ რენტგენის—ელექტრო წამლობის კაბინეტში; გასინჯვა და წამლობა X-ს სხივებით დიდი სალენოიდი და არსევალის ტოკით ფილტვების, გულის და სხვა შინაგანი ავადმყოფობისათვის. ყოველ დღე დილის 9—1 საათამდე და საღამოს 6—8 საათ. ბებუთოვის ქ. № 23, ტელეფონი 7—92.

---

## ექიმი დ. ჯავახიშვილი
მიიღებს ბავშვთა და შინაგან სნეულებიან ავათმყოფთ ყოველ დღე კვირის გარდა, დილის 9—11 და საღამ. 5—7 ს ბინა: ვერა, გუნიბის ქუჩა, № 41. ტელეფონი № 14—09.

---

**ექიმი მ. ა. შაფრანი.**
სპეციალურად სიფილისი და მისი შედეგები (შეშხაპუნება 606 და 914), ვენერიული (ტრიპერი) და საშარდე ორგანოების სნეულებანი. ავათმყოფების მიღება ყოველდღე დილის 8—11 და საღამოს 5—8 საათამდე. ქალების საღამოს 4—5 საათამდე. კვირაობით მხოლოდ დილით. მისამ: ოლღას ქ. № 33.

---

ექიმი
## ა. ნ. შატილოვი
იღებს თვალის სნეულებიან ავათმყოფთ საღამოს 4—6 საათ. სიმეიონოვის ქუჩა, სახ. № 4 (ვორონცოვის ხიდის ახლო).

---

**ექიმი ბ. მ. მუხაძე**
იღებს სალოსტაქირო ავათმყოფთ საღამოს 5—6 საათამდე კვირა დღის გარდა, მისამართი: დიდი მთავრის ქ. № 57, ავეჯის ... სახ. შენიშვნის პირდაპირ, სახ. ... ტელ. № 6—77.

---

**ექიმი დ. ი. ჯაფარიძე**
მიიღებს შინაგანის, ყურის, ყელის და ცხვირის სნეულებით ავადმყოფებს დილის 11—1 საათამდე, საღამოს 5—7 შალვათოვის ქუჩა № 7. ალექსანდრის ბაღის პირდაპირ. ტელეფონი 16—65.

---

# ფინანსთა სამინისტროს განსაკუთრებული სალიკვიდაციო განყოფილება

ამით აცხადებს, რომ კავკასიის ფრონტის დაწესებულებათა ლიკვიდაციის დამთავრების გამო, ყველა იმ პირთ, რომლებსაც სალიკვიდაციო დახმარება ეკუთვნით, აუცილებლად უნდა წარადგინონ თფილისის ხაზინაში, ერთი თვის განმავლობაში ამ განცხადების „საქართველოს რესპუბლიკაში“ დაბეჭდვის დღიდან, ტალონები ხურდი ფულის მისაღებად. ტალონები უნდა გატარებულ იქნეს ფინანსთა სამინისტროს სალიკვიდაციო განყოფილებაში, რათა რეგისტრაცია გაუკეთდეს ამ ტალონებს თფილისის ხაზინაში. ვინც აღნიშნულ ვადაში ტალონებს არ წარმოადგენს, დაჰკარგავს ხურდი ფულის მიღების უფლებას, ხოლო ასიგნოვკები კი გაუქმდება.

---

კ. ი. ზუბალაშვილის სახელობის ქალაქის სახალხო სახლ. არს. ქართ. წარ. მძარ. წრე.

# სახალხო სახლი.

პარასკევს, 8 ნოემბერს, 1918 წელს,
წარმოდგენილი იქნება:

# ქრისტინე

დრამა 4 მოქმედებათ პ. ირეთელისა.

**მონაწილეობას იღებენ:** ქ-ნნი: ს. ანკარა, ე ბარათაშვილი, ქილარჯიშვილი, ე. ჩერქეზიშვილი და ჯავახიშვილი. ბ-ნი: მაზლაძე, ნ. გოცირიძე, ა. იმერელი, რ. სალაყაია, ვ. რატიშვილი, ა. მეტრეველი, ა. თავდგირიძე, კ. ხახანაშვილი.

დასაწყისი საღ. 8 საათზე. ადგილების ფასი 3 მ.—50 კ. მდე.
რეჟისორი * * *
რეჟ. თანაშემწე ალ. ბადრიძე.

(2—1)

---

# ლანჩხუთის ვაჟთა გიმნაზიაში

თავისუფალია ერთი **ფილოლოგის** და ერთიც **გერმანული ენის** მასწავლებლის ადგილი. პირობები საზოგადოა. მისამართი პირადათ ანუ წერილობითი გიმნაზიის გამგეს სიმონ ივან. მესხს.

---

# სახელმწიფო თეატრი

(ო პ ე რ ა)

ხუთშაბათს, 7 ნოემბერს ტ. ი. საბანეევას, ბ. ი. ზალიპსკის და ვ. ა. ნიკოლსკის მონაწილეობით წარმოდგენილ იქნება: **ლაკმე** ოპერა 3 მოქმედებად.

ფასები ძლიერ დაკლებულია. დასაწყისი საღ. 8 საათზე.

---

**5-თე პოლკის არა მწყობრ ასეულისათვის საჭიროა**
**გამოცდილი სამხედრო საქმის წარმოებაში**

# მწერალი

ჯამაგირი შეთანხმებით. მისამართი, საპერნის ქუჩა № 8 ასეულის უფროსთან.

---

# მეოთხე რაიონის კოლექტივი

ხუთშაბათს, 7 ნოემბერს საღ. 6 საათზე, ბიუროს ბინაში (უდელის ქუჩა № 3) იწვევს აღნიშნული რაიონის ს.-დ. მ. პარტიის წევრთა

# საზოგადო კრებას

(ეს კრება გაგრძელებაა წინა სამი კრების)

**დღის წესრიგი:** 1) მუშათა საკითხი, 2) დამოკიდებულება სხვა პარტიებთან, 3) საოლქო ყრილობის დელეგატების არჩევნები.

ყრილობის კითხვების შესახებ მოწვეულია სპეციალური მომხსენებლები.

(2—2) კოლექტივის პრეზიდიუმი.

[illegible] სტამბა რუბაძისა, გაბაევის შესახვევი, № 4